ოქტომბერი 1902

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

		გვ.
I	ჩვენი ღვთის-მშობლის ხატი — გ. ფარადაშვილისა	3
II	ბედის მაძებარი — ალ. მიჩიანაშვილისა	8
III	სოფლელი და მელია — აკაკისა	10
IV	შაშვი და მელია (თარგმანი) — ბეს. კაშაძისა	15
V	აფთარი (ლუნკევიჩისა)	17
VI	მელიას თავ-გადასავალი, ზღაპარი (გაგრძელება) — ალ. ნათაძისა	22
VII	პატარა დედოფალი (თარგმანი) გაგრძელება — ს. ციციშვილისა	28
VIII	ბედნიერება (ზღაპარი) თარგმანი — ს. კ — სა	38
IX	ქან-ბატისტ ლიული ბიოგრაფია (თარგმანი) — ან. წერეთლისა	43
X	წვრილმანი: ანდაზები, გამოცანები, შესანიშნავი რიცხვი, ზმა, შარადა და რებუსი	60

თანახმათ მათი ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის დამტკიცებისა, თბილისის საეპარქიო რჩევამ, 17 ოქტომბერს, 1897 წ. გადაწყვიტა ქართული საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღებულ იქმნას სახმარებლათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საყმაწვილო ნახატებიანი

ყურნალი

იზარდეს მწვანე ჯეჯილნო,
დაბურდი, გახდი ყანაო!..
ი. ბ.

№ X

წელიწადი მეცამეტე

ტფილისი
სტამბა ტ. მ. როტინიანცისა, № 41 | Тип. Т. М. Ротиніанца, Гол. пр. № 41
1902

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17-го Сентября 1902 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ღვთის მშობლის ხატი.

ერის იმისთანა საოცარი ქვეყანა, რომლის ბადალი ჩემთვის მთელ დედამიწის ზურგზე არა მოიპოვება-რა. არც უცხო შვეიცარიაში, სადაც ამაყათ ამართულან ბუმბერაზნი მთანი, რომლების წვერებიც გამობრწყინავენ ყინულ-გვირგვინებით შემკულნი. არც იტალიაში, სადაც არიან მშვენიერი ტბები და ამ ტბებში გამოჩანან პატარა კუნძულები, თითქოს აქა-იქ განგებ ვისმეს ჩაურჯვია მათში ათას-ფერი ყვავილის კონები. არც ერთ ამათგანს არ უმოქმედნია ჩემზე და არ მოუხდენია ისეთი შთაბეჭდილება, როგორც ზემოთ ნათქვამს საოცარ ქვეყანას. მე ისე მიყვარს ეს ქვეყანა, როგორც მერცხალს თავისი ბუდე, როგორც ბულბულს გაფურჩქვნილი ვარდის ბუჩქი და როგორც ჩვილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურმას თავისი დედის მუძუ. რამდენიც ამ ქვეყანას ვშორდები, იმდენათ უფრო მისი სიყვარული მიტაცებდა და მიცხოველდება ხოლმე. ეს საოცარი ქვეყანაა—ჩემი სამშობლო, სადაც ავსილე პირველათ თვალი, სადაც ავიზარდე და გავატარე ჩემი სიყმაწვილე.

მაგრამ ჩემს სსოვნაში უფრო მოსაგონებელია ჩვენი სოფლის ეკლესია. მისი სსოვნა არა დროს არ ამოიფხვრება ჩემი გულიდან ვიდრე ცოცხალი ვარ.

ის ამართულია მაღალ გორაზე, მდინარის პირას. მის უძველეს და უმაგრეს კედლებს და მაღალ გუმბათს, დროთა ბრუნვისა-გამო, მწვანე ხავსი მოჰკიდებია და რამდენიმე ალაგსაც შენიშნავთ მათზე ამოსულ მცენარეებს. ფრინველებს გაუკეთებიათ ბუდეები მის კედლებში, დილიდან საღამომდე ჟივილ-ხივილი გააქვთ, ზოგნი მშვენივრათ უსტვენენ, გალობენ, ერთ ადგილიდან მეორეზე ხტებიან, ფრინავენ, აღვიძებენ და აღტაცებენ მთელ მიდამოს.

ამ ეკლესიას ჰქონდა შეხედულობა ფრიად წუნარი, მშვიდი და უბრალო. მე მახსოვს უფრო ორი სურათი: მაცხოვრისა და ღვთის-მშობლისა. ჩვენ ისე ვცხოვრობდით, როგორც სხვა ჩვენი სოფლის გლეხები, მხოლოთ ჩვენი ოჯახი გაირჩეოდა მათგან სისუფთავით, სიფაქიზით. ჩვენს პატარა სახლს ეხურა უკვარი და თავლას — ჩალა. ჩემი მშობლები იყვენ ძალიან შრომის მოყვარენი. როგორც ზაფხულში ისე სხვა დროს ისინი ადრე იძინებდენ და, ადრევე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგებოდენ და მაშინვე მიჰყოფდენ ხოლმე ხელს მუშაობას. მხოლოთ ამნაირი შრომით შეგვეძლო ჩვენ ცხოვრება. ჩვენ უკელაფრით კმაყოფილნი ვიყავით; რაც გვებადა, იმას ვჯერდებოდით. ჩემი მშობლები მდიდრებს არ შენატროდენ და მუდამ მხიარულნი იყვენ. ასე მიმდინარობდა მეუდროებით ჩვენი ცხოვრება.

ერთხელ, მახსოვს, ჩვენ ოჯახს მოულოდნელათ დიდი მწუხარება ეწვიჰ. მამა ჩემი, რომ ჩვენ ლუკმაჰური არ მოგვკლებოდა, უნდა წასულიყო სამუშაოთ შორს ქვეყანაში, ექვსი თვით. ეს კი ჩვენთვის ძალიან სამნელო იყო, რადგანაც იმ შორის ქვეყნიდან არც გზა უდგებოდა ჩვენს სოფელს და არც მგზავრი ვინმე სვდებოდა. ამ გარემოებამ ძალიან დაადონა ჩვენი მხიარული ოჯახი. ამას ზედ დაერთო დედაჩემის ავათმყოფობაც. ექიმის ხსენება იმ დროს ჩვენ სოფელში არ იყო და ქალაქზედაც ას ვერსზე ვიყავით დაშორებული.

დღითი-დღე დედაჩემს ავათმყოფობა უძლიერდებოდა. ბოლოს ისე დაავადდა, ფეხზე მლივს-ღა დგებოდა. ამას ზედ დაერთო ჩემი ჰატარა ძმა ვასოს ავათმყოფობაც. ვასო იყო ექვსი წლისა, ჭკვიანი, მშვიდი და მეტათ საყვარელი უმაწვილი. იმისმა ავათმყოფობამ უფრო იმოქმედა დედაჩემზე და ერთი-ორათ მოუმატა ავათმყოფობამ.

დადგა გაზაფხული, ვასოს თანდათან ავათმყოფობა უძლიერდებოდა. ერთ დღეს ავათმყოფობამ უფრო მოუმატა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს იყო კვირა დღეს. მთელი მიდამო ჭყვარიდა. ჩვენი სოფლის ეკლესიიდან გაისმოდა ზარების რეკა, რომელსაც ხეობის გამოხმობა ბანს აძლევდა და ულვიძებდა მსმენელს რადაც წმინდა გრძნობას. ჰატარა მდინარეც ადიდებულიყო: ოეგლიჯა ყინულის სახურავი და ნაპირებზე გადმოსულიყო. ამ დროს დამიძახა დედამ თავისთან, მაკოცა და ტირილით მითხრა:

— წადი, შვილო, ეკლესიაში, შეევედრე ღვთის-მშობელს ჩემთვის და შენი ჰატარა ძმისთვის, იქნება ღმერთმა შეისმინოს შენი ვედრება და ამ სნეულებისაგან გაგვკურნოსო! მეც გული ამოძიჯდა და მდუღარე ცრემლები გადმოვყარე დედის წინ. შემდეგ წავედი ეკლესიაში. ეკლესია სავსე იყო ხალხით, რომლებიც გულ-მხურვალეთ ლოცულობდენ. ეს წმიდა გრძნობა ძალე ჩემზედაც გადმოვიდა: იმ ფიქრმა, რომ შეიძლებოდა დედაჩემიც მოძკვდარიყო და ვასოც, საშინლათ ააღელვეს ჩემი გული. მე დავარდი ორივ მუსლებზე და ვტიროდი. როდესაც თავი მაღლა ავიღე და მოულოდნელათ დავაცქერდი ღვთის-მშობლის ხატსა, მის სახეზე ამოვიკითხე იმდენი შებრალება და სიწმინდე, რომ ჩემმა გულმე იგრძნო, რაღაც ნუგეში. აი ამ დროს რა მომხდარიყო ჩვენ სახლში: ჩემ ძმას ვასოს, რომელსაც ენა ჩავარდნილი ჭქონდა, უცებ დაეწყო კრუსუნი და დედასთვის დაეძახნა. დედასაც შეეკრიბა უკანასკნელი ძალ-ღონე, მისულიყო უმაწვილის ლოგინთან და მიეცა მისთვის ეკავილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშს გასარებოდა, მოეწადინა ეკავილის თამაშობა ხელში, მაგრამ ამ დროს მისი ცოცხალი შავი თვალები უცებ დასუჭულიყვენ და ეკავილიც გავარდნოდა ხელიდან. დედას საშინლათ დაეკივლა, მივარდნოდა ბავშს, დაეგდო ეური მისი სუნთქვისათვის, მაგრამ ივი აღარა სუნთქავდა. დედა უგრძნობლათ დავარდნილიყო იატაკზე. ამ დროს დედას, თითქოს ცხადათ, მოვლინებოდა დიდებული და მშვიდი დედაკაცი, დაედო მის მხარზე ხელი და ეთქვა: «ნუ გეშინის და ნუ სწუხარ, აღსდეგ, უმაწვილი შენი არ არის მკვდარი!» დედას ამ დროს თითქოს გაღვიძებოდა. და საოცრება რამ ენახა: უმაწვილს ელვიძა და სიამოვნებით იღიმოდა. დედა სიხარულისაგან კინაღამ გადარეულიყო. მეც მივედი ეკლესიიდან და რა საკვირველება ვნახე: ჩემ ძმა ვასოს სახე ვარდისავით გადაშლოდა და მთხოვდა მიმეწოდებინა მისთვის ის ეკავილი, რომელიც მას ხელიდან გავარდნოდა.

ამ დროიდან, როგორც დედა, ისე ვასოც დღითი-დღე კარგათ ხდებოდენ. როდესაც დედამიწა შეიმოსა მწვანით, გაიშალნენ ხეხილები და გაიფურჩქნენ ეკავილები, ვასო მხიარულათ დახტოდა მინდორში, ეკრეფდა ზიზილებს და სტკბებოდა კეკლუც ბუნების სიმშვენიერით. ბავშის კარგათ გახდომამ დედაზედაც ძლიერ იმოქმედა. ივი რამდენიც დრო გადიოდა უკეთ ხდებოდა და ბოლოს სრულიად გასაღდა. მამაც სამუშაოდან დაბრუნდა და ბლოძათ ფულიც მოიტანა. ამნაირათ ჩვენ ოჯახში ისევ უწინდელი ეუდროებაᲘ და სიყვარული დატრიალდა.

გ. ფარადაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გედის მაძებარი.

იგავი

ვენამდის მოულწევია ერთ ძველებურ ამბავს. როდესაც ჩვენი სამშობლო ქრისტეს მაგიერ კერპს სცემდა თაყვანს, ერთი კაცი მივიდა სამლოცველოსთან, საცა აუდებულნი იყვნენ კერპნი არმაზისა და ზადენისა. აქ, არმაზის წინაშე, ამ კაცმა დაიჩოქა და გულმოდგინეთ შეევედრა.

— დიდებულო არმაზო! ცა და ქვეყანა ხელთ გიპყრია; შენგან არს ყოველი სულდგმული; შენ სარ მოძცემი სიცოცხლისა და სიკვდილისა; ყოვლის შემძლებელო, ყოვლის მხედველო და მსმენელო, გეაჯები: მიწყალობე, მტერი მაშორე, რომ შეეიძლო ტანჯვა-სიღარიბიდან ამოსვლა და ტკბილი ცხოვრების გემოვნების ხილვა.

— ვინ არის შენი მტერიო? ჰკითხა არმაზმა.

— ჩემი მტერი ჩემი სინიდისიაო.

— როგორ თუ სინიდისიაო? გაკვირვებით განუმეორა კითხვა არმაზმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემო დაბადებელო! სინიდისი მქეჯნის, მისგან ვარ დაჩაგრული, დაბრიუვებული, დამონავებული: ვერც ვინმე მომიტუებია, ვერც ვისთვიმე მიღალატნია, ვერც სიტუვას გადავსულვარ, ვერც მომიპარავს, ვერც ვინმე გამიმარცვავს; ამიტომ ჩემი დღენი ვარ სულ ეელ-გადაგდებული, მშიერ-მწეურვალი, ღატაკი და ეველაფრით უკან ჩამორჩომილი.

— კარგიო, — მიუგო არაზმა, — ერთი დღე ვადა მომიცია: წადი, კარგათ მოიფიქრე და თუ სვალაც მაგ სურვილზე იდგები, უეჭველათ თხოვნა აგისრულდებაო.

მეორე დღეს მივიდა ეს კაცი არმასთან და იგივე თხოვნა განუმეორა.

— რაკი ასე ჯიუტობ, ასრულდეს შენი ნება: წადი, დღეიდან შენ სინიდისისაგან თავისუფალი ხარო, — უბრძანა არმაზმა.

დაბრუნდა ეს კაცი გახარებული, აღტაცებული: მსწრაფულ დაჭარგა სინიდისი, სირცხვილი და შიში.

ეს დღე გავიდა. კაცი დაღამების უმალვე გავიდა სხვა სოფელს. იქ ერთი მდიდარი კაცის ბოსელში შეიპარა და იქიდან მალვით ეევარი ხარი გამოირეკა; გუნებაში ფიქრობდა:

— ამ ხარებს ჩავრეკავ ქალაქში, გავეიდი და ფულებით სახლში დავბრუნდებიო.

მაგრამ, დახე ფათერაკს! — სანამ ქურდი ეზოდან საქონლის გარეკას მოასწრებდა, გავარდა იქვე ამოფარებულ მწეემსის თოფი და სიტკბოების მაძებარმა სიცოცხლეც დაჭარგა.

ალ. მირიანაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლელი და მელა.

(კრილოვისა)

ითხარი მელა კუდაო
რათა ხარ ქათმის ბარია?
თუ არა, ლუკმა ხომ იცი,
არ შეგერგება, მწარეა.

— —

ქვეუანა ატეხილი გეავს,
იძახის: ქურდი მელაო,
საქათმეს შემოეხვია,
გაგვცალა, დაგვანელაო!

—

არ ერიდება არც ძაღლებს,
ადარ იხოგავს თავსაო,
მაგრამ თუ ხელში ჩავიგდეთ,
ცოცხლათ გავაძრობთ ტყავსაო!

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადია მათი მუქარა,
რომ არ ჩაივლის უქმადო
და, თუ მოგასწრეს, იცოდე
დაგგლეჯენ ლუკმა, ლუკმადო.

—

და საქმეს რაზე იჭირვებ,
რომ წაგამწარონ მალეო!
ჭალალი ლუკმა ეძიე,
ქურდობა მოიშალეო!

—

ასე ურჩევდა მელიას
ერთი მდიდარი სოფელი,
უწეინარი რამ, კეთილი,
ეკელას მომვლელი, ბატონი.

—

მელიამ უთხრა: ბატონო,
მართალს მიბძანებ ეკელასო,
მაგრამ სხვა საშუალება
რომ არ მაქვს არსად მელასო?

—

არ გვისწავლია ხვნა-თესვა,
არ ვიცით ცულის ხელიო!
მაწანწალა ვართ, მოვლილი
გვაქვს ეკელგან მთა და ველიო.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

განა არ ვიცი, ქურდობა
რომ არ ვარგია... ცუდია.
მაგრამ უმისოთ ხომ უნდა
ამოვიმუო კუდია.

—

შიმშილი მომკლამს, ცოლ-შვილსაც
სიმწრის დღე დაუდგებაო!
მიჯობს მაძღარი მაგინონ!
რას მარგებს მშიერს ქებაო?

—

სოფლელმა უთხრა: თუ მართლა
მაგაზე მიდგა საქმეო,
ხელს მოგიმართავ და შენ-კი
ცუდი ხელობა დაჭგმეო.

—

მე შემიძლიან თავიდან,
რომ აგაცდინო ჭირია;
შეგეკვრი ერთის ჰირობით
და არ გასტეხო ჰირია.

—

მოდი დამიდექ მექათმეთ,
შენ ჩაგაბარებ ყველასა!
და მოუარე ჩემს ქათმებს
ნულარ გაატან მელასა.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მოსტეუვდები, რადგანაც
ეველა ხრიკები იცით,
და შენ რომ არას წააგებ
ეე მოგიცია ფიცით.

—

არც შენ დარჩები მშიერი,
ცოლ-შვილსაც უპატრონებო!
ამაზე უფრო სასურველს
სხვას რაღას მოიგონებო?

—

ფეხზე აღარ სდგას ქალია
ნამეტან სიხარულითა!
იკისრა, რასაც ურჩევდენ,
ჩაება წრფელის გულითა.

—

დაუტრიალდა საქათმეს,
მაღლიც-კი გაიერთგულა!
მის ხელში ართუ დედლები
წიწილაც არ დაკარგულა.

—

უქებენ მეთვალყურობას,
პატრონიც მწყალობელია;
გასუქდა, ღარი დაისვა,
კმაყოფილია ქალია.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღა სჯობია ამ ეოთვას
სადაც რიგი და წესია,
მაგრამ, ეჰ, „ჩვეულება-კი
რჯულზედაც უძლიერესია“.

—

ერთ ღამეს ერთგულ მსახურსა,
ხუმტურმა წამოუარა
და რაც ებარა გასწვიტა
სულ ერთათ... სისხლი დაღვარა.

—.

ქურდი ვერ მოშლის ქურდობას
და ცუდი კაცი სიცუდეს,
უბრალო ჭეშმარიტება,
უნდა ეს ყველამ იცოდეს.

აკაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაშვი და მელია.

ემოდგომის დილას, როდესაც ბრწყინვალე მზემ თავის მოკაშკაშე სხივები არე-მარეს მოჰფინა, შაშვი შეფრინდა ვენახში მწერებზე სანადიროთ.

ვენახის პატრონი მეტათ გულკეთილი კაცი იყო, გარეული ფრინველები ძალიან უყვარდა. იმან იცოდა, რომ ის ფრინველები, რომელნიც მავნე მწერებს ხოცავენ, უთუოთ ვენახში საჭმლისათვის მოფრინდებიან ხოლმე და ამიტომ აქა-იქა დატოვა ტკბილი ყურძნის მტევნები.

შაშვმა მოავლო ნისკარტი ყურძენს და გაუყენა გზახ თავის ბარტყებისთვის. იმ დროს მელამ მოატანა თვალი და უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემო საყვარელო მეგობარო, შენ ეოველთვის ზეცას მისჩერებისარ, ზეცას შეჰგალობ, თითქო ძლოცველი და ღვთის მოშიში უნდა იყო, ბაგრამ ახლა ჩემის თვალებით ვსედავ, რომ შენ ის მოიპარე და მიგაქვს, რაც შენს საკუთრებას არ შეადგენს და რისი წაღების ნებაც არ გაქვსო...

შაშვმა უპასუხა:

— ნათლია ბატონო მელავ! გახსოვდეს და ნუ დაივიწყებ შემდეგ ანდასას: ნურასოდეს ნუ მოძებნი ჩირგვს უკან იმას, რაც თითონ შენ არ შეგინახავსო...

ბეს. ეაშაძე.

(თარგმანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ფ თ ა რ ი.

(ლუნკევიჩისა)

ვა-ცხრა წლისა ვიქნებოდი, რომ ჩემმა მშობლებმა საავარაკოთ წამიყვანეს «დარაჩიჩაგში», ერევნიდან ორმოცდა-ათი ვერსის სიშორეზე. ეს მშვენიერი ბუნებით შემკული საავარაკო ადგილი მდებარეობს მთის ფერდობზე, რომლის აქეთ და იქით უზარმაზარი ტუეებია გაშენებული. ჩვენი აგარაკი სოფლის განაპირას იდგა. ჩვენზე ძალიან ახლო იყო მველი სომხის ტაძრის ნანგრევები და სასაფლაო, რომლის შემდეგ იწყებოდა დიდი უშველებელი ტუე. გვერდით ჩამოგვიდიოდა ჰატარა მდინარე.

უველა ესენი ერთის კვირის განმავლობაში ისე შევისწავლეთ მე და ჩემმა ტოლმა ბავშებმა, რომ როგორც ჩვენ საკუთარს სახლში ისე დავსეირნობდით ტუეში, ჩავდიოდით ძირს, მდინარეში საბანაოთ, დავხეტიალობდით ტაძრის ნანგრევებს შორის და დიდის სისარულით დავდევდით უკან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრიალა ხვლიკებს, რომლებიც ნანგრევებში მეტათ გამრავ-
ლებული იყო.

ხან-და-ხან ისე გავერთობოდით ხოლმე ხვლიკებსე ნადი-
რობაში, რომ მზის ჩასვლის შემდეგ ბნელაში ვბრუნდებო-
დით სახლში. ამაზე ჩვენ არავინ გვიჯავრდებოდა.

მაგრამ წარმოიდგინეთ ჩვენი გაოცება: ერთ დღეს ჩვენმა
მშობლებმა გამოგვიცხადეს ჩვენ ყველას, რომ შორს ნუღარ
წახვალთ და სახლში მზის ჩასვლამდის დაბრუნდითო. მე ყვე-
ლაზე მეტათ დამაფიქრა ამ ბრძანებამ და დავუწყე ყველას ხკეწ-
ნა, ითხარით რა მიზეზით გვიკრძალავთ შორს წახვლას
მეთქი. არ მახსოვს ძიძამ, თუ ჩვენმა ბერიკაცმა მზარეულმა
—ჩუმათ შიშით მიჩურჩულა, რომ დარაჩიჩაგის მიდამოებში
«მგელ-კაცა» გაჩენილა, რომელიც მეტათ საშიშარი რამ
არის: საღამოვიდან მკვდრებს იღებს და სოფლიდან ბავშებს
იტაცებსო!

რას არ ლაპარაკობდენ სოფელში ამ საშიშარ «მგელ-
კაცაზე»: ავი სულია—ქაჯია, რომელიც დღე კაცის სახით
დადის და ღამე საშიშარ მგელათ იქცევაო, ისეთი თვალე-
ბი აქვს, რომ ბღუჯა-ბღუჯა ცეცხლს ავრთქვევსო. ამი-
ტომაც ეძახიან «მგელ-კაცასაო».

შიშის ხარი დამცა ამ ამბავმა. რამდენსამე დღეს ეო-
ველ წამს ველოდი, აგერ დაიუვირებენ «მგელ-კაცამ» ბავში
მოიტაცაო. რომელსამე მათხოვარას თუ შევხვდებოდი შიშით
ვკანკალებდი და ვფიქრობდი: უთუოთ ეს მგელ-კაცაა მათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოვარის სახით, რომ კაცი ტყეში გაიტეუოს და შეჭამოს მ.ეთქი. მშობლებთან ერთათ რომ დავდიოდი მაშინაც-კი შიშით გავიუურებოდი სასაფლაოსკენ და მეჩვენებოდა, რომ თითქო ვიღაც დადიოდა საფლავებ შუა, თითქო თხრიდა რაღასაც და საფლავიდან მკვდრებს იღებდა, მაგრამ მალე ეველა ესეები დამავიწყდა. «მგელ-კაცაც» სადღაც გაქრა, ისე რომ არავისთვის არაფერი ვნება არ მოუტანია, არც მკვდრებისთვის და არც ცოცხლებისთვის.

მხოლოთ ორ წელს შემდეგ შევიტყე რომსოფლელები «მგელ-კაცას» თურმე აფთარს ეძახიან.

სადაც-კი ეს მხეცი გამოჩენილა, კავკასიაში თუ სხვაგან სადმე, ეველგან ათასნაირი მოგონებაა მის შესახებ.

რანაირი მხეცია აფთარი?

მხეცი-კი არა ჯოჯოხეთის წარმომადგენელია! —გაიძახიან ერთგან;—ეშმაკის მსახურია, უმატებს მეორე,—რომელიც თილისმით არის შეზავებული და რაც სურს იმას მოიქმედებს.—იქნება გაფუჭებული, გაგარეულებული ადამიანიც არის—უმატებენ სხვანი,—რომელიც დიდი ცოდვების ჩადენის გულისათვის ღმერთს დაუსჯია და გადაუქმნია საშიშარ მოვლენათ, რომ ბოროტ მოქმედი ადამიანის ზარის დამცემათ აქა-იქ გამოჩნდეს ხოლმე. ამასაც ამბობენ, ვითომ აფთარს თავში ტვინის მაგიერ ძვირფასი ქვები უწყვია... მისი თვალები დღეში რამდენიმეჯერ იცვლიან ფერს და ერთის შეხედვით ადამიანს სისხლის მოძრაობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჩერებენ და ჭკუიდან შლიანო... მონადირე თუ დაინახა — აფთარი წინ უყელებს და ერთის შეხედვით სწრაფათ გააშეშებს, რაც უნდა კარგი ვაჟკაცი იყოსო... თუ აფთარმა ძაღლს შეუტია და შეებრძოლა ძაღლი მსწრაფულ ჭკარგავს ძალღონეს, სმას და მკვდარივით დედამიწაზე ეცემაო, რომელი მონადირეც აფთარს მოჭკლავს ქალათ გარდაიქცევაო. აი, კიდევ რას ამბობენ აფთარზე, ის ქალიც არის და კაციც; როცა უნდა მამალია და როცა უნდა დედლათ გადიქცევაო. ტუეში ხან ხარსარებს და ხან ბავშივით საცოდავს ტირილს გაბამს, რომ მით ვინმე შეიტყუოს და შესჭამოსო. მაგრამ განა ღირს ამისთანა ზღაპრებს კაცმა ყური დაუგდოს, რომელიც ყოველსავე სიმართლეს მოკლებულია. სჯობს ჩვენ ისა ვთქვათ, რომ რა მიზეზით გადაემტერა აფთარს ხალხი.

აფთარი მტაცებელი მხეცია, რომელიც ცოტათ წააგავს ჩვენ ნაცნობ ტუჩა მგელს, მაგრამ ერთათ თუ ნახეთ მგელი და აფთარი, მგელი მასთან დახატული ლამაზი გამოჩნდება. აფთარი მეტათ უშნო და საშიშარი შეხედულობისაა. უშნოთ გაგრძელებული ტანი, მოკლე კისერი, დიდი თავი დაღრენილი დინგით, მოუსვენარი ბოროტი თვალები, მოკლე ბეტელი ყურები, დაგრეხილი ფეხები, გაშეშებული უშნოფერის ბალანი, მახინჯათ სიარული, საზარელი ხმა, რომელიც ხან ღმუილს და ხან თითქო ბოროტ სარხარს მოგაგონებს, ყველა ეს ღირსება, მგონი, საკმარისია, რომ წარმოიდგინოთ რა სასიამოვნო სანახავი იქნება აფთარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფთარის სასიათზე რაღა ითქმის: ის არის საშინელი ღორ-მუცელა, ბინძური, გაუმაძღარი და მეტის მეტათ ავი. უველას გაგეგონებათ რომ იტყვიან ხოლმე: ისეთი ავი რამ არის, როგორც აფთარიო. და ეს სალსის თქმულება ნამდვილი გამომსატველია აფთარის სიავისა. აფთრების საუვარელ საჭმელს შეადგენს ლეში, რომლისათვისაც მათ ერთმანეთში მუდამ დიდი ჩხუბი და არეულობა აქვსთ. და თუ ვანიკობაა ლეში ვერსად იპოვეს, მაშინ ცოცხალ ცხოველებსაც არ იწუნებენ, არც შინაურს და არც გარეულს. მაგრამ ეს იშვიათათ ხდება, რადგან ისინი ლეშს ხშირათ შოულობენ. ცოცხალ ადამიანზე იშვიათათ ნადირობენ, თუ მოასწრეს მკვდრის ამოღება-კი უყვართ. თუ მეტის მეტათ მოშივდა და ვერაფერი იშოვა, მაშინ-კი იძულებული ხდება სოფელს დაეცეს და მოიტაცოს შინაური ოთხფეხი და თუ მოასწრო მძინარე ბავშებიც. ამიტომაც არის რომ ათას რამეს იგონებენ სოფლელები აფთრის შესახებ. მართლაც ჩვენში სანდასან მომხდარა, რომ აფთარს ბავში მოეტაცნოს. მე მიამბეს რომ ერთ სოფელში (ერევნის გუბერნიაში) შეამჩნიეს რამდენიმე აფთარი, რომელთაც სამი თუ ოთხი ბავში მოეტაცნათ ერთ კვირის განმავლობაში.

განსაკუთრებით ბევრს აფთარს ამჩნევენ აფრიკაში და სოგიერთს ადგილს აზიაშიაც. ევროპაში ახლა ადარსად არის, მაგრამ იყო დრო, როდესაც იქაც ბლომათ დასეირნობდენ ეს უსიამოვნო სტუმრები. აფთარი ორნაირია: ერთს ეძახიან ჭრელ აფთარს და მეორეს ფოთლებიანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიას თავ-გადასავალი.

(ზღაპარი)

თავი X

ეუბა და ბოსვერა ცოტა — არა გუნებაზე ვერა ბრძანდებოდენ. ამათ იმათზე ძოსდიოდათ ჯავრი — თუ ამ არ გასაშვებმა ეკვაკმა და მსდალმა ეურცქვიტინამ ასე როგორ შეირცხვინეს თავი და ბრძოლის ველიდან მოცხრილეს თავ-ლაფ-დასხმულებმა. კიდევ თავს გამოიძვრენს შეჩვენებული მელია, ფიქრობდენ ესენი.

განრისხებულმა მეფემ კუდი აქეთ-იქით გადააქნია, შეიჯმუხვნა და ბრძანა:

— ახლა ყველას დრო გაქვთ: მელია ჩვენ ხელთ არის და ვისაც რამ სათქმელი გაქვთ ამ შეჩვენებულზე ყველაფერი მოამახსენეთ.

საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა, ბუზის ფრენა რა არის — იმასაც-კი გაიგონებდა კაცი. ვერ იქნა და ვერა, წინ წადგომა ვერავინ გაბედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თითქო გუშინ ბევრი იყო მოჩივარი და დღეს რას გაჩუმებულხართ, რატომ არაფერს ამბობთ? შეეკითხა ბრბოს მისი დიდებულება.

მელიამ ისარგებლა ამითი, ეშმაკურათ მიატრ მოატრიალა თავისი ჰაწაწკინტელა თვალები, ულვაშებზე ხელი გადაისვა და მოახსენა მეფეს: — აი, აგრეა ხოლმე ყოველთვის, დიდებულო მეფევ! ამათ მხოლოთ ზურგთ უკან იციან სხვაზე ლაპარაკი და...

აქ ლომმა მრისხანეთ გააწყვეტინა გარეწარს სიტყვა.

— შენ კიდევ ხმა ამოგელება, გაუტანელო ავაზაკო? — შეჰყვირა ლომმა.

— რისთვის გამოასალმე წუთისოფელს, გარეწარო, მშვიდობიანი, ჩემი ერთგული ყმა კურდღელი? ეს არ აკმარე საწყალს: მისი ჰატიოსანი თავი ჩასდე ჩანთაში და ტვინთხელამის ხელით მაკადრე და მე გამომიგზავნე! ტვინთხელამე ხომ გშველოდა შენ: დღეს იგი ავაზაკობისთვის და მატყუარობისთვის სასიკვდილოთ განიწირა და ახლა შენზე მოდგა რიგი, ავაზაკო.

— «ვაი ჩემს თავს! განა მართლა ცოცხალი აღარ არის კურდღელი? — წამოიძახა ეშმაკმა გაკვირვებით და მწუხარებით. — ნუ თუ ველარც ტვინთხელამეს იხილავს ჩემი თვალები? მაშ რაღა წყალში უნდა გადავარდე! მაშ იმათთან ერთათ უნდა დაიღუპოს ჩემი ძვირფასი განძიც? აი ახლა დაძიდგა თვალები: აუარებელი განძეულობა მე იმათ გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეცი და განა წარმოვიდგენდი, თუ ის უტვინო არსება ყვავ-ებედავდა და მოჭკლავდა საცოდავ კურდღელს და იმოდენა სიმდიდრეს იგი მიითვისებდა? მაგრამ ახია ჩემზე — «რაც მოგივა დავითო, ყველა შენი თავითო!..»

მეფეს აღარ შეეძლო მოესმინა გარეწარის ამდენი ტუუილ-ების მოხანხვლა და თავი გაარიდა ცოტახანს, იქვე, დედოფლის ახლო წამოსკუპებულიყო მანჭია — მაიმუნი. იგი მელიას ნათესავათ მოჭხვდებოდა და ცდილობდა თავისი ნათესა-ვის გამართლებას.

— მთელი ქვეყანა რომ შემოიარო ს — მელიასთანა ჭკუა-მახვილს მრჩეველს ვერსად ვერ იპოვნის მეფე. არ გახსოვთ, რა ჭკვიანურათ დაბოლოვა შეჩვენებულმა დავა ერთ გლეხსა და გველის შორის? მაშინ ყველანი გაკვირვებული ვიყავით ჩემი ნათესავის გამჭრიახობით და სიბრძნით.

— რა ვქნა! მე ეგ ამბავი არ მახსოვს! შენიშნა დე-დოფალმა.

— მას აქეთ ორი წელიწადი იქნება, დაიწყო მანჭიამ, რაც გველი მოვიდა მეფესთან საჩივლელათ. იგი სიბრაზის-გან იდორბლებოდა და თან ამასა ჩიოდა, რომ კაცმა სა-სასამართლოში ორი საქმე წააგო ჩემთან და სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ემორჩილებაო. ახლა მოგახსენოთ ამათ რაზედა ჭქონდათ დავა: გველი მახეში გაბმულიყო. ახ-ლო ვიდაც მგზავრს გადმოეარნა და გველს საცოდავათ შე-ესინა: «შემიბრალე, გაჭირებაში ვარ, დამიხსენი ამ ტყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობიდამაო». «ჯერ შემომფიცე, რომ მე არაფერს მერჩი და მაშინ გიშველიო», უპასუხა მგზავრმა. გველმაც შეჰფიცა. კეთილმა ჩელმა დაისნა იგი განსაცდელისაგან. გაუდგენ ერთათ გზასა. ცოტა მგზავრობის შემდეგ კაცი მიწაზე დაჯდა დასასვენებლათ და გველიც იქვე ახლო ხეს შემოეხვია. მერე, რადა ბევრი გაგიგრძელოთ და იმ წუეულმა მოინდომა თავისი მსსნელის კბენა. კაცი შიშისგან თავ-ზარ-დაცემული წამოსტა და შემოუტია გველსა: «რას შვრები, შე წუეულო, სად არის შენი ფიცი! თქვენში მადლობას მაგრე უსდიანო?» «ძე მშიან და მაშ რა ვქნაო», წაისისინა გველმა.— მაშ მოიცა, შეგვსვდება ვინმე, ვკითხოთ და იმან გაგვასამართლოსო.»—«კარგიო», უპასუხა გველმა. შემოეეარათ გზაზე ეორანი. «ეეაო, ეეაო, შესმასეს მგზავრებმა, ცოტასანს მოგვისმინე და გაგვასამართლეო». ეეავი ჩაფიქრდა და ფიქრის შემდეგ წამოიურანტალა: «მართალია, გველმა კაცი უნდა შეჭამოსო». იგი თავისთვისაც ფიქრობდა—ცოტაოდენი მერგება რამეო. მცურავს სისარულით არ იცოდა რა ექნა და წაატანა კბილი საკბენათ. «მოიცა ჯერ, უთხრა კაცმა, განა ავაზაკს შეუძლიან გაასამართლოს ვინმეო? კიდევ შეგვსვდება ვინმე და იმასაც ვკითხოთო».

იარეს, ბევრი იარეს და გზაზე შემოეეარათ მგელი და ღათვი. კაცის მდგომარეობა მეტის მეტი სახიფათო იეო ამდენ ავაზაკებთა შორის, მაგრამ რას გააწეობდა. ამათაც უამბეს. «გველმა კაცი უნდა შეჭამოსო», წამოიძახა მგელმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი ცივ ოფლში იწურებოდა. გველი-კი სიხარულით იკლაკნებოდა; შეახტა იგი კაცს საკბენათ, კაცი განზე გაუხტა. «ძოიცა ჯერ, უთხრა კაცმა, მე ამ ავაზაკებისა არა მჯერა-რა—სჯობია მეფესთან წავიდეთ და იმან გაგვასამართლოსო». «ვერც იქ გახდები რასმეო, წამოიძახეს ავაზაკებმა და კბილები შეუკაწკაწეს. გველმა უნდა შეჭამოს კაცი», გაიძახოდენ ესენი და მეფისკენაც ამავე გადაწყვეტილებას მოელოდენ.

მეფე საგონებელში ჩავარდა: არ იცოდა ეს მართალი კაცი გაეწირა, თუ ეს ჰირ-ეერალი ქვეშევრდომები. მარტოკა არ უნდოდა ვისიმე ცოდო დაედო და დანიშნა რჩევა. რჩევამაც ასე დაადგინა: «გველს შეუძლიან შეჭამოს კაცი». ამ გადაწყვეტით უველა ლუკმას მოელოდა. მეფეს ეს შენიშნული ექონდა და მსაჯულათ მელიას დაუძახა— იმასაც ვკითხამო.

მელია მაშინვე იქ დაიბადა. «ძინამდის გარაჩენს დავწერამდე, ჩემთვის საჭიროა ის ადგილი ვნახო, სადაც ეს ამბავი მოხდაო. გველმა ისევ იმაში უნდა გაჭეოს თავი და მაშინ უველაფერი ადვილათ გადაწყდებაო». რაცა ბრძანა მელიამ —უველაფერი შეასრულეს. «ახლა უველაფერი უწინდებურათ არის, რადგანაც ფიცი ჰირველათ გველმა დაარღვია, ახლა კაცსეა დამოკიდებული—თუ უნდა დაისსნას გველი გაჭირვებისაგან, თუ არა თავის გზას გაუდგესო» ვინც ამაზე არ დამეთანხმოს, წამოდგეს და თავისიცა თქვასო. უველა აღტაცებაში მოვიდა მელიის ასეთი განაჩენით. უველა მის ქებაში და დიდებაში იყო. კაცმაც მადლობა გადაუხადა და შეაქო მეფე—რომ ამისთანა ბრძენი მსაჯული გყოლიაო. მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თალიც არის, დაუმატა მანჭიამ, ვის შეუძლიან მეფის მრჩეველი იყვეს, თუ არა მელას? ვის შეუძლიან, გაჭირების ოფლი მოსწმინდოს მეფის ქვეშევრდომს, თუ არა მელას? ვის შეუძლიან ყველა სადაო საქმეების მოგვარება, თუ არა ისევ მელას? და თქვენ, კი დიდებულო მეფევ, დღეს გნებავთ იგი გასწიროთ, განდევნოთ თქვენის სამეფოდან ეს დამამშვენებელი თქვენის სამფლობელოსი, ეს მზე და მთვარე თქვენი სამეფო ტახტისა. მე ამას თქვენი ცოლ-შვილისადმი ერთგულობა, თქვენი დღეგრძელობა მალაპარაკებს, თორემ მე რა მენაღვლება.

— ვნახოთ. ბრძანა ლომმა და გარეთ ხალხთან გამობრძანდა. მელას გარს ეხვია მეგობრები და ანუგეშებდენ. ეტეობოდა სასახლე ორ ჯგუფათ იყო გაყოფილი.

— არა, არა, მე არ შეიძლიან გაპატიო საცოდავი კურდღის სიკვდილი და ჩემი მოტეუილება, უთხრა მეფემ ავაზაკს. ეოჩი დასჯილია და შენც იგივე მოგელის.

«ოჰ, შე უბედურო ჩემო თავო, ტირილით წარმოთქვა ეშმაკმა—რატომ არ გასკდა დედამიწა და მეც არ ჩამიტანა მაშინ, როდესაც ტვინთხელაძეს სიცოცხლე ესპობოდა. რაღა ვქნა, საიდან უნდა დავიბრუნო ჩემი ხაზინა, ტიროდა და ჩიოდა მელია.

— ნუ იკლავ თავს, უთხრეს მაიმუნებმა, მთელ ქვეყანას შევმრამთ და როგორც იქნება გიპოვნით იმ განმს, მხოლოთ შენ განგვიმარტე რა ნიშნებით შეიძლება იმ ნივთების პოვნა.

ალ. ნათაძე.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა დედოფალი.

VI

პრასპეგი.

აწყალ ნასკას ერთ წამს არ ელირსა დასვენება და სხვა-და-სხვა უსიამოვნობა ზედი-ზედ დაატყდა თავს. ნახევარ საათს არ გაუელია რადიკის გასელის შემდეგ, რომ მასთან შემოვიდა გრაფინია როზენბერგი.

— ქალაქის მცხოვრებლებისაგან ამორჩეული კაცები თხოულობენ, რომ ნახვის ნება უბოძოთ, თქვენო უდიდებულესობავ,—აღელვებულის ხმითმოახსენა გრაფინიამ—მაგრამ უეჭველია თქვენ იმათ არ მიიღებთ, რადგან მეტათ დაღალული ბრძანდებით?

— არა, გრაფინიავ, მე ვინახულებ მათ. უთხარი რომ ნებას ვაძლევ შემოვიდენ.

— მაგრამ, თქვენო უდიდებულესობავ!.. დაიწყო გრაფინიამ, რომელიც ძალიან შეწუხებული სახით შესცქეროდა ნასკას გაფითრებულ სახეს.

— მე ვინახულებ მათ!—გაიმეორა ნასკამ – მოვალე ვარ რომ ვინახულო.

გრაფინიამ მორჩილებით თავი დაუკრა და გარეთ გავიდა. ორიოდ წამს შემდეგ გაიღო კარი და გამოჩნდა ღრმათ მოხუცებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპისკოპოზი, რომელიც ჯვრით ხელში წინ მოუძღოდა ქალაქისაგან გამოგზავნილ ამორჩეულ კაცებს.

— აკურთხოს მაცხოვარმა სახლი ესე და ყოველნი მცხოვრებნი მას შინა. — წარმოთქვა მოხუცმა ეპისკოპოზმა ცარკოეის სამშობლო ბერძნულს ენაზე.

— ამინ! — უპასუხა დედოფალმა და მოწიწები თავი დაუკრა.

ეპისკოპოზმა ერთი ფეხი უკან გადადგა, ორი ამორჩეულთაგანი წინ წამოდგნენ და მუხლი მოიყარეს დედოფლის წინ. იმ დროს ცარკოეის სამეფოში სამღვდელოება მეფეებს მუხლს არ უყრიდენ.

ეპისკოპოზს გვერდით უდგა ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე კაპისკი, რომელიც მძიმე თავის დაკერით მიუახლოვდა დედოფალს და მოახსენა:

— ჩვენ გეახელით, როგორც ქალაქის წარმომადგენელნი და მთელი მცხოვრებლების მაგიერ მოწიწებით გეეედრებით, თქვენო უდიდებულესობავ, მოიღოთ მოწყალება და დაგვიბრუნოთ ღენერალი რადიცკი.

— რადიცკი დაგიბრუნოთ?! გაოცებით იკითხა ნასკამ.

— როგორ? განა არ იცით რომ რადიცკი წავიდა? შეჰყვირა კაპისკმა.

— წავიდა?

— დიახ, თქვენო უდიდებულესობავ! უპასუხა კაპისკმა და თან საიდუმლოთ თავ-დახრით მოახსენა: — დელაკასსისკენ!

— რა ეუყოთ მერე?

დედოფალი მეტათ გულ-დამშვიდებით ლაპარაკობდა და ეს-კი ძალიან აშინებდა კაპისკს.

— მაგრამ თქვენ ხომ კარგათ იცით, თქვენო უდიდებულესობავ — გაცხარებით დაიწყო კაპისკმა — რომ რადიცკის შემოწყრომა უბრალო რამ არ არის. უმისოთ ჩვენი ქვეყანა!..

— დიახ, მესმის - უპასუხა ნასკამ. მე ძალიან სამწუხრათა მაქვს, რომ ეს ასე მოხდა. თქვენ ამბობთ დაგიბრუნოთ, აბა რანაირათ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ ერთი-კი ბძანეთ, თქვენო უდიდებულესობავ, — შეჰყვირა კაპისკმა — ჯერ კიდევ შეიძლება მოვეწიოთ ღენერალს. ის უეჭველია ცოტა ხანს შეისვენებს მანამდე დელაკასსისკენ გაემგზავრებოდეს. ცხენიანი კაცი...

— მე ამ წამში გავიქცევი მასთან — შეაწყვეტინა ხრინწიანის ხმით საქალაქის დარაჯების უფროსმა — თუ კი თქვენი უდიდებულესობა ბძანებას მიბოძებს!

— ბძანებას?! დაეკითხა ნასკა გაოცებულის ხმით.

— დიახ, თქვენო უდიდებულესობავ: ბძანება ღენერლის დაბრუნებაზე.

— თქვენ, როგორც ეხედავ, არ იცით რაშია საქმე, უპასუხა ნასკამ. — ის იმიტომ წავიდა, რომ არ უნდოდა ჩემი ბჭანება შეესრულებინა!

— ჩვენ სწორეთ ამიტომ მოვედით, თქვენო უდიდებულესობავ! გთხოვთ, ღენერალს აპატიოთ — წარმოთქვა კაპისკმა — რადიცკიმ თუ რამე დააშავა, გთხოვთ შეუნდოთ, თქვენო უდიდებულესობავ, მის ჭაღარას, მის დიდ ღვაწლს სამშობლოს წინაშე და ამასთან იქონიოთ სახეში, რომ ის არის დამცველი თქვენი სახელმწიფოსი. დაუმატა ხმის კანკალით კაპისკმა.

— იმას დიდი გავლენა აქვს ჯარზე, თქვენო უდიდებულესობავ, ჩაერია დარაჯთა უფროსი — დიდძალი ჯარი გაჰყვა უკან რადიცკის.

— ქალაქი სრულიად უპატრონოთ დარჩა, თქვენო უდიდებულესობავ, ორიდე კაცი რას გახდება იმ საშინელ პრასკებთან! შიშით და ჩურჩულით განაგრძო კაპისკმა და აქეთ-იქით მიიხედა, თითქო ეშინოდა, რომ პრასკები ახლაეე არ შემოსეოდენ სასახლეს. — ისინი უეჭველათ მოვლენ — სხაპა-სხუპით განაგრძნო მან — ათასობით დაგვესხმიან თავს, მეტადრე თუ ბარ-ბუცკი გაიგებს, რომ რადიცკი შემოგვწყრა; ამოგწყვეტენ, გაგეცარცვენ. ოხ, თქვენო უდიდებულესობავ, მხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოთ თქვენ შეგიძლიანთ დაგვიხსნათ ამ საშინელ განსაცდელისაგან!

ნასკამ გადახედა მოხუც ეპისკოპოზს და მუდარებით მიმართა:

— თქვენ არაფერს ამბობთ, მამაო! მითხარით ღვთის გულისთვის, განა პრასკები მართლა ჩაიდენენ იმას, რასაც კაპისკი ამბობს?

ეპისკოპოზმა მოწიწებით თავი დაუკრა და მოახსენა:

— ეგ მხოლოთ, მაღალმა ღმერთმა იცის, თქვენო უდიდებულესობავ!

— მაგრამ, უეჭველია, ღმერთი მანდამდის არ მიიყვანს საქმეს?

— საქმენი ღვთისანი უცნობ არიან ჩვენისთანა მომაკვდავთათვის! ამაყათ უპასუხა ეპისკოპოზმა.

— მაგრამ ღმერთმა ხომ იცის, რომ მე მხოლოთ სიმართლით ვმოქმედობდი. თქვენ მამაო, ხშირათ გითქვამთ, რომ ღმერთმა უკეთ იცის ყველა ჩვენის გულის საიდუმლონიო?

— ღმერთმა ყველა იცის, შვილო ჩემო!

— და ღმერთი იმედია, არ დამსჯის, როდესაც იცის რომ სიმართლის გულისათვის მოვიქეცი ასე. წაილაპარაკა ნასკამ და შეაცქერდა ეპისკოპოზს.

— იგია ღმერთი—უფალი, მოყვარე სიმართლისა—თავ-დახრით წარმოთქვა ეპისკოპოზმა.

ნასკას სახე გაუბრწყინდა.

— მაშ, მამაო... დაიწყო ნასკამ.

— მომიტევეთ, თქვენო უდიდებულესობავ, დაგვიანება აღარ შეიძლება—გააწყვეტინა დარაჯთა უფროსმა—თუ გსურთ ღენერლის დაბრუნება, ახლავე უნდა წავიდეს კაცი, ამ წამში, თორემ მერე გვიან იქნება.

— თქვენო უდიდებულესობავ, ნუ ინებებთ თქვენ ქვეშევრდომთა დაღუპვას და ნუ ჩააგდებთ ხალხს მხეც, შეუბრალებელ პრასკების ხელში.

— ოხ ღმერთო, რა ვქნა? როგორ მოვიქცე? შეკუვირა დედოფალმა და ისევ მიაშტერა თვალები ეპისკოპოზს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაფიქრდი, შვილო ჩემო, წარმოთქვა თავდახრით ეპისკოპოზმა — რისთვის დაითხოვეთ რადიცკი? თუ იმან პირადათ თქვენ მოგაყენათ შეურაცხყოფა მაშინ მოვალე ხართ ყველაფერი დასთმოთ თქვენი ხალხის გულისათვის, რომელთა სიკეთილ-სიცოცხლე თქვენ ხელთ არის.

ნასკა პირდაპირ შეაცქერდა ეპისკოპოზს თვისის მშვიდობიანის ჭკვიანი თვალებით.

— მე ის არ დამითხოვნია სამსახურიდან — წარმოთქვა მტკიცეთ ნასკამ — ის თითონ წავიდა, იმიტომ რომ ეუბძანე ბარბუცკი გაენთავისუფლებინა. ბარბუცკს გლახათ მოექცნენ, ის მოტყუებით გააცემინეს ცოლ-შვილს და აი სწორეთ ამიტომ გავათავისუფლე ის. განა ჩვენ მოვალე არა ვართ, რომ სიმართლით მოვიქცეთ, ეს თუნდ ჩვენი საზარალოც იყოს, ასე არ არის მამაო?

ეპისკოპოზმა მოწიწებით თავი დაუკრა და კი არა უთქვამს-რა.

— რადიცკის დაბრუნებისათვის განა ის უნდა მოვიქმედო, რაც უპატრონოთ მიმაჩნია? დაეკითხა ეპისკოპოზს ნასკა — ამას გარდა — განაკრძო მანვე — ღენერალი თითონ არ მოინდომებს დაბრუნებას, კიდეც რომ ვინმე გავუგზავნო.

კაპისკმა და დარაჯთა უფროსმა მწუხარებით თავები ჩაჰკიდეს. რამდენსამე წამს სიჩუმე ჩამოვარდა და ამ სიჩუმეში გაისმა ქუჩიდან ხალხის არეული ხმა. კაპისკი შეკრთა:

— ოხ, თქვენო უდიდებულესობავ! შეჰყვირა იმან აღელვებულის ხმით — ისინი არიან, ეს თქვენი ხალხია! როგორც პატარა ბავშვი მიმართავს დედას გაჭირვების დროს, ისე თქვენი ხალხი მოდის თქვენთან, თავის დედოფალთან! ნუ გაუცრუებთ იმედს, მიუსმინეთ! აბა გადახედეთ ფანჯრიდან. და მან გადასწია ფარდას.

ნასკა მივიდა ფანჯარასთან და გადიხედა. იქ შეყრილიყვენ მთელი ქალაქის მცხოვრებელნი: მოხუცებულები, კოჭლები, ბრმები ჯოხებზე დაბჯენილები. ზოგი ქალები — დაჩოქილები მუდარით შესცქეროდენ სასახლის ფანჯარას, ზოგი გულ-ხელ დაკრეფილი ცის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კენ გაიცქირებოდა, ზოგსაც ხელში ეჭირა შვილი და მაღლა იშ-ვერდა, თითქოს დედოფალს ეეედრებოდა: — დაგვიხსენ ამოწყვეტისა-განო. როდესაც ნასკა გამოჩნდა ფანჯარაში ხალხი შეინძრა და ერთ-ხმათ გაისმა მუდარების ხმა:



— „პაპიუსკა“ დაგვიხსენ, გვიშველე! პრასკები! პრასკები!

კაპისკი მართალს ამბობდა: ხალხი მოსულიყო თავის დედო-ფალთან, შველას თხოულობდა. არც მუქარით და არც ჯავრობით ის არ აშინებდა დედა — დედოფალს, არა, ის ემუდარებოდა — ეხვე-წებოდა. ხალხი დარწმუნებული იყო, რომ დედოფალს ყველა შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძლიან, რასაც-კი მოინდომებს. თუმცა ნასკა პატარა იყო, მაგრამ ბრბო ამას ყურადღებას არ აქცევდა—ის ხომ „პაპიუსკაა“ და ეს სრულიად საკმარისია, რომ ჩვენ გვიშველოსო—ფიქრობდა ხალხი. ნასკა მიხვდა, რა დიდი რწმუნება ჰქონდა მისი ხალხს და ამან უფრო შეაწუხა, რომ არ შეეძლო მათი სურვილის დაკმაყოფილება. იგი გამოვიდა პატარა აივანზე, რომელიც ხალხს თავს დასცქეროდა და, როდესაც ხელმეორეთ გაისმა ხალხის ხმა: „პაპიუსკა“ დაგვიხსენ, გვიშველეო, მუხლებმა კანკალი დაუწყეს, გული დაუმძიმდა და თვალები ცრემლებით აევსო.

— ხომ ხედავთ, ხომ გესმით, თქვენო უდიდებულესობავ? შეჰყვირა კაპისკმა და ხალხზე მიუთითა.—ხომ გესმით რანაირათ გეხვეწებიან, რომ ისინი დაიხსნა გამხეცებულ პრასკებისაგან! და განა ეს შესაძლებელია თუ რადიცკი აქ არ იქნება? ოხ, თქვენო უდიდებულესობავ, თქვენ, უეჭველია, შეისმენთ ამოდენა ხალხის მუდარას. ჯერ კიდევ დაგვიანებული არ არის—თუ კი...

— განა თქვენ ფიქრობთ—გააწყვეტინა ნასკამ კაპისკს—რომ მოწყალე ღმერთს არ შეუძლიან საწყალი ხალხი ურადიცკოთაც დაიხსნას განსაცდელისაგან?

კაპისკმა ეელარა თქვა-რა—ისე გააშტვრა ამ გვარმა პასუხმა. დარაჯთა უფროსიც მოუთმენელათ აფათურებდა ხელ-ფეხს.

დედოფალი გადაეყუდა მოაჯირს და როგორც-კი შეეძლო ხმა მაღლა დაილაპარაკა:

— ნუ გეშინიათ!.. ღმერთი... და საშინელმა ხველამ ნება არ მისცა, რომ დაესრულებინა.—მოელაპარაკეთ თქვენ, მამაო. მიმართა ნასკამ მუდარით ეპისკოპოზს, როგორც-კი ცოტა ხველა შეუჩერდა.

— ჩემო შვილებო, მედიდურათ და თან სიყვარულით გადასძახა ხალხს ეპისკოპოზმა—წაიდეთ და ვეეედროთ უფალს, რადგან მხოლოთ მას შეუძლია ჩვენი შველა!

ეპისკოპოზმა დაუკრა დედოფალს თავი და გარეთ გავიდა. რამდენსამე წამს შემდეგ ნასკამ დაინახა, რომ სობოროსაკენ მიმავალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპისკოპოზს ხალხი უკან მისდევდა. ამავე დროს გაისმა ტკბილი საეკლესიო ვედრებითი გალობა, რომელსაც ცარკოვის ხალხი მხოლოთ დიდ გაჭირვებაში მღერის, სადაც მკაფიოთ გაისმის შემდეგი სიტყვები: „შეიბრალე ერი შენი ყოველად მოწყალე უფალო".

VII

უსნოგი კეთილის მყოფელი.

საღამოს მთელი ქალაქის მცხოვრებნი შიშით კანკალებდენ და ერთმანეთს ჩურჩულით გადასცემდენ რადიცკისა და მისი ჯარის დელაკასისკენ წასვლის, უფროსი მინისტრის სამსახურიდან დათხოვნის და ჰერცოგის ქვრიეის სასახლისათვის თავის დანებების ამბავს, რომელიც მეორე დილას აპირებდა გამგზავრებას. აგრეთვე უამბობდენ ერთმანეთს პრასკების უფროსი ბარბუცკის გათავისუფლების ამბავს და მის მთაში წასვლას!

— ის, უეჭველია, ისევ დაბრუნდება, მაგრამ ვაი იმას ვისაც აქა ნახავს, დაბრუნდება თავისი ერთგული ჯარით და სულ მთლათ ამოგეწყვეტავს! ამბობდენ ცარკოველები. პრასკები ისეთი ხალხია, რომ არავისი შებრალება არ იციან, ძუძუ-მწოვარ ბავშვებსაც-კი ხოცენ თურმე! არა მგონი რომ ვინმე ჩვენგანს დილა მშვიდობით გაუთენდესო—ჩურჩულებდენ ყოველ ოჯახში და შიშით განძრევასაც ველარ ბედავდენ. მაგრამ ღამემ მშვიდობით გაიარა; არც დიდი და არც პატარა არავინ მოუკლავთ, არც ვისიმე სახლი გაუქურდავთ. ხან-და ხან კი თითქო ისმოდა ფეხის ხმა და ღამის დარაჯთა ყვირილი.

პატარა დედოფალმაც მეტათ გლახათ გაატარა ის ღამე, ჩაწვა კი თავის ძვირფას ლოგინში, მაგრამ თვალი არ მოუხუჭავს; ის თითქო რაღაც შიშსა გრძნობდა და ათასი არეული ფიქრები მოსვენებას არ აძლევდა. დილას საშინელმა ხველამ საცოდავს სულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერი დაავიწყა და როდესაც ხველა გადაუვარდა მკედარსაებ დაეძინა. ძილში ეზმანა, რომ გრაფინია როზენბერგისა მოვიდა მასთან, თავი დაიხარა და აკოცა. თითქო სველი რაღაც დაეცა ნასკას შუბლზე და იგრძნო რომ გრაფინია ტიროდა. „რათ ტირის გრაფინია? ვებრალებ? რათა?“ ეს უკანასკნელი სიტყვები ნასკამ ისე ხმა-მაღლა წამოიძახა ძილში, რომ გამოეღვიძა. გათენებულიყო და არც არავინ იყო მის ოთახში, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე და მიხვდა, რომ თითონ ეტირა ძილში და არა გრაფინიას.

ნასკამ თავი მაღლა აიღო, ცრემლები მოიწმინდა და წარმოიდგინეთ მისი გაოცება: მის წინ იდო მშვენიერი თეთრი თაიგული, რომელიც სასიამოვნო სუნნელებას ჰფენდა მთელს ოთახში. ის აღტაცებით სუნავდა სასიამოვნო საჩუქარს და თუმცა თავის დღეში ამ გვარი ყვავილები არსად ენახა, მაგრამ კარგათ მიხვდა რომ ეს იყო „ვაზეკა“—ყვავილი, რომელიც წელიწადში ერთხელ მხოლოთ ერთ კვირას ჰყვავის და ერთ მაღალს და მიუვალს მთაში ხარობს—ისიც მხოლოთ ცარკოვში. ნასკას კარგათ ახსოვდა ამ ყვავილის ამბავი. მისი მოწყვეტა ძალიან ძნელიაო ამბობს ხალხი. ხშირათ კაცი იღუპება, როდესაც მოინდომებს ამ ყვავილის შოვნას. მას ხალხი „ბედის ყვავილს“ ეძახის, მის მშოვნელს უთუოთ კეთილი ბედი მოელისო.

— ვინ მომიტანა ეს თაიგული? ვინ გაიწირა ჩემი გულისთვის თავი? შეჰყვირა ნასკამ და ხელში თაიგულით მიირბინა ფანჯარასთან. ამ დროს შეამჩნია რომ თაიგულიდან რაღაც ქაღალდი გადმოვარდა. ნასკამ გაოცებით აიღო ქაღალდი და წაიკითხა შემდეგი: „ნუ გეშინიან პატარა „პაპიუსკა“. ის კაცი, რომელსაც კარგათ ახსოვს თქვენი გულ-კეთილობა, დაგიფარავთ ყოველი განსაცდელისაგან“..

— ვინ მომწერა ეს წერილი? ფიქრობდა პატარა დედოფალი—ან ნეტა რას ნიშნავს ყველა ეს? და ვერ მოეფიქრა თუ ვინ იყო მისი კეთილის მყოფელი. მან ნელა ასწია ფანჯრის ფარდას და აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაცებით დაუწყო ყურება ახალ ამოსულ მზეს და მისი სხივების თამაშს. რა მშვენიერება იყო დილის სურათი! ნასკა თავის დღეში არ ამდგარა ასე ადრე და ამიტომ პირველათ ხედავდა მზის ამოსვლას და მის მშვენიერებას. თუმცა ის აღტაცებული იყო ამ მშვენიერი სურათის ნახვით, მაგრამ თაიგული და ბარათი მოსვენებას არ აძლევდა, ამიტომ ახლა მეორე ფანჯარას მიადგა, რომელიც დიდ მოედანს გადაჰყურებდა, ნასკამ გოცებისაგან შეჰკივლა; მან დაინახა, რომ სასახლესთან ახლო დარაჯათ ვილაც სხვა კაცი იდგა, მაღალი და ცხვრის ტყავის ტანისამოსიანი. ამ კაცმა ალბათ გაიგონა ნასკას ხმა, მაშინვე მიბრუნდა და მდაბლათ თავი დაუკრა. ის იყო პრასკეების უფროსი ბარბუცკი.

— რას ნიშნავს ეს? რათ არის ბარბუცკი აქ? ფიქრობდა დიდხანს პატარა დედოფალი. ამ ფიქრისაგან გამოარკვია საშინელმა ხველამ. ტანშიც გააჟრიალა და სიცივე იგრძნო, ის საჩქაროთ ჩაწვა ლოგინში და თბილათ დაიხურა.

რამდენისაც წამის შემდეგ მოახლეს შემოესმა დედოფლის ხველა და როდესაც შევიდა ნახა, რომ პატარა დედოფალი გადაწოლილიყო ბალიშზე, ხელში მაგრათ ეჭირა თეთრი ყვავილების თაიგული და პირიდან სისხლი გადმოსდიოდა.

ს. ციციშვილი.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გედნიერება

(ზღაპარი)

ურება ის იყო ილეიძებდა. მშვენიერი დღე იდგა. პატარა ილო თვალ-ცრემლიანი მოვარდა სასწავლებლიდან სახლში.

— რა ამბავია? ჰკითხა დიდედამ და თანაც ხუჭუჭ თმაზე ხელი დაუსვა. — ვინ გაჯავრა ჩემი ბიჭიკო?

— არავინ, დიდედა! მე არავისაც არ გავუჯავრებივარ — უპასუხა ბავშმა ტირილით.

— მაშ რათა ტირი?

— როგორ არ ვიტირო, დიდედა, ის მშვენიერი ზღაპრები, რომლებსაც შენ მიამბობდი ხოლმე, თურმე სულ ტყუილი ყოფილა! ეს ჩვენ მასწავლებელმა გვითხრა, და ილო თვალ-ცრემლიანი შეაცქერდა დიდედას; — მასწავლებელმა ხომ ყველაფერი ჩვენზე უკეთ იცის, არა, დიდედა?

— მართალია, შვილო, იმან უკეთ იცის! მაგრამ რავუყოთ რო ყველა ზღაპარი სიცრუეა, გამოგონილია!

— როგორ თუ რა ვუყოთ? — უპასუხა ილომ და ისევ ტირილი დაიწყო, — მე ახლა ხომ ველარ შევირთავ იმ მშვენიერ ხელმწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფის ქალს, რომლის გულისთვისაც თერძის შეგირდმა შეიდი კაცი ერთათ დახოცა; მე ხომ ახლა ველარ გავიგებ თუ რა არის ბედნიერება!

— სულელო! შესძახა დიდედამ, ეგ რას დაგიშლის ბედნიერების პოვნას, თუნდა რომ ხელმწიფის ქალიც არ შეირთო. შენ მხოლოთ მოსძებნე ბედნიერება.

— მართლა?

— დიახაც!

— სად უნდა მოვძებნო მერე, დიდედა? — ჰკითხა გახარებულმა ბავშმა და თან სახელოებით ცრელები მოიწმინდა.

დიდედას ღიმილი მოუვიდა.

— შენ როგორ გგონია, სად იქნება ბედნიერება? არც აქ, არც იქ, საზოგადოთ-კი ყველგან არის. მხოლოთ ცოდნა უნდა და მოხერხება. აბა სცადე და მოსძებნე!

— კარგი, დიდედა! მე ვცდი! თქვა ილომ. — იქნება ის აი იმ ტყეშიაც არის, როგორც შენ მიამბობდი ხოლმე.

— შეიძლება, შეიძლება, ილო! დაუმატა დიდედამ. — მაგრამ ახლა-კი ცრემლები მოიწმინდე და სადილი ჭამე.

სადილს შემდეგ ილო ტყეში გაიქცა ბედნიერების საპოვნელათ. ბაღში დარწმუნებული იყო რომ ბედნიერება დამალული იქნებოდა ან ხეებ ქვეშ, ან ბალახებში და ან ბუჩქებში; ამიტომ იმედი ჰქონდა, რომ უსათუოთ იპოვნიდა. მერე რა მშვენიერებაა აქ! ახალი, ნორჩი ბალახი მზეზე საამოთ ბრწყინავს, ირგვლივ სუყველაფერი ყვავის; ყვავიან ხეები, ბალახი; გზის ნაპირებიც-კი სავსეა ყვავილებით! ხის წვეროებზე ჩიტები გალობენ, ფუტკრები და პატარა ჭიები ერთი ყვავილიდან მეორეზე ფრინავენ; ბილიკებზე ჭიანჭველები დარბიან. აგერ მოლაღურმაც სადღაც გაინავარდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჰ! რა მშვენიერათაა შემკობილი აქაურობა! რა ლამაზათ მორ ბის ეს ანკარა მდინარე, რამდენ ზღაპარს ჩასჩურჩულებს ის ყმაწ ვილს, მაგრამ ბავში მას ყურს არ ეგდებს. იმან იცის, რომ ზღაპარი მოგონებაა, ტყუილია, მაშასადამე წყაროც ტყუის. ილო არხეინათ მიდის. ტყე თანდათან ხშირდება და იბურება.

— სად დაიკარგა ეს ბედნიერება? იპოვნის თუ არა დღეს? თუ დღეს ვერ იპოვნის, ხვალაც მოძებნის... მაგრამ ეს რაა?! ბავში ერთბაშათ შედგა გაფითრებული. უზარ-მაზარ მუხას ქვეშ იმან დაინახა მშვენიერი ქალი; თავზე პატარა ბრწყინვალე ვარსკვლავი ციმ. ციმებდა და ფეხებთან უწვა ლამაზი ირემი. ილო შეშინდა, უნდოდა გაქცეულიყო, მაგრამ ქალმა გაიღიმა და ბავში თავისთან მოიხ. მო. ბავშმა გაბედა მისვლა და შეეკითხა:

— შენ ბედნიერება ხომ არა გქვიან?

— ჰო! უპასუხა მშვენიერმა არსებამ. მხოლოთ მოდი ახლოს, ნუ გეშინია!

— არა მე არ მეშინიან შენი. — მხიარულათ წამოიძახა ყმაწვილ. მა და ქალის ახლო დაჯდა. — შენ ხომ ბედნიერება ხარ და ამიტომ არ შეიძლება ბოროტი იყვე. ქალმა ალერსიანათ ხელი მოჰკიდა და ჩაფიქრდა. ილო ეველარ ისვენებდა:

— ერთი ეს მითხარით, — ეკითხებოდა იგი და თან მშვენიერ თვალებში ჩასჩერებოდა! — შეგიძლიან რომ მე ბედნიერი გამხადო?

— დიახაც! შემიძლიან!

— მაშ აბა როგორ? რა რიგ მოვიქცე, ან რას მომცემ ისეთს, რომ ბედნიერი ვიყვე? — მოუთმენელათ ეკითხებოდა ილო.

— არაფერს! მხოლოთ მე დაგარიგებ როგორ უნდა მოიქცე.

— მაშ თქვი, მალე!

— გეტყვი, მხოლოთ ჩემ ნათქვამზე ეჭვი არ უნდა შეიტანო, ყველაფერი უნდა დაიჯერო, თორემ მოგშორდები.

— კი, კი, თანახმა ვარ ყველაფერში, ოღონდ თქვი მალე!

— მაშ ყური დამიგდე. შორს, ამ ტყის იქით, — დაიწყო ქალმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

—და ამ მთების იქით, მიუვალ კლდეზე, სდგას საუცხოო სასახლე. ის სასახლე მზესავით ბრწყინავს; იმისი ოქროსფერი სვეტები ირგვლივ არე-მარეს ანათებენ.

ილომ ხმა გაკმინდა და მთლათ სმენათ გარდაიქცა.

— იმ სასახლეში ცხოვრობს მზეთ-უნახავი ხელმწიფის ქალი, რომლის მსგავსი მთელ დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება. იმ ქალს უდარაჯებს ცეცხლის ლომი.

— ოჰ, ეგეები ხომ სულ სიცრუეა! უნდობლათ და გულ-მოსულათ შეაწყვეტინა სიტყვა ბავშმა.

— მე არ გითხარი, რომ ყველაფერი გამიგონო!—მრისხანეთ შეუტია ქალმა და განაგრძო—შენ უნდა წახვიდე იქ და როდესაც ლომი გადმოხტება და ღრიალს დაიწყებს, მახსენე მე, მოგეშველები, ლომს მოჰკლამ და იმ ქალს შენ დაიპყრობ. ილო მსწრაფლათ ფეხზე წამოხტა.

— როგორ!—დაიყვირა მან, განა შესაძლებელია, რომ ცეცხლის ლომები ან მზეთ-უნახავი ქალები არსებობდენ? მე მოვკლა ლომი და მე დამრჩეს ის ქალი!? ეგ ხომ სულ ტყუილია! მოგონებაა, ზღაპარია!

ბედნიერებამ მკაცრათ შეხედა ბავშს თავის მშვენიერი თვალებით.

— რათა გგონია, რომ ეს შესაძლებელი არ არის!

— იმიტომ რომ ტყუილია, მოუჭრა სიტყვა ბავშმა.—დიახ, სულ ტყუილია! ეს მე მითხრა დიდედამ, გვითხრა მასწავლებელმაც და შენ, მგონი, იმათზე ჭკვიანი არა ხარ.

ილო უცებ შედგა და განცვიფრებით შეაცქერდა ქალსა...—მაგრამ შენ, მოიგონე, მგონი, ბედნიერება არა ხარ?

— მაშ რა ვარ? შე ბრიყვო და გაუზრდელო!

— შენ? შენ უბრალო ზღაპარი ხარ!

— მართალია, მე ზღაპარსაც მეძახიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ როგორ გაბედე, რომ მომატყუე და ბედნიერება დაირქვი? შეჰყვირა გულმოსულმა ყმაწვილმა.

— მე შენ არ მომიტყუებიხარ, დაცინვის კილოთი უპასუხა ქალმა და, თავის ადგილიდან ადგა,—მაგრამ მე რა ვქნა, რომ თქვენ, საზოგადოთ ხალხს, ბედნიერება ზღაპრათ მიგაჩნიათ და ვერ გაგირჩევიათ ეს ორი საგანი ერთი-ერთმანეთისაგან! თქვა ქალმა და გაჰქრა.

ს. ბ—სა.

(თარგმანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟან-ბატისტ ლიული.

I

პატარა დამკვრელი

მაისის მშვენიერ დილას, 1646 წელს, ქალაქ ფლორენციაში, ერთ სასტუმროს წინ გაჩერდა ეტლი, რომელშიაც იჯდა ჰერცოგი გიზა, მას გარშემო ამალა ეხვია. დიდ ძალი მაყურებლები მოეხვიენ ეტლს.

— გზა, გზა მიეცით ჰერცოგს!

— ოთახები დაამზადეთ მისი ბრწყინვალებისთვის! ყვიროდენ ჰერცოგის მხლებელნი.

— შეუდექით ვახშმის სამზადის! ამბობდენ მეორე თანამხლებელნი.

ამ დროს ეტლიდან გამოვიდა ჰერცოგი.

— ყველაფერს მოამზადებინებ ერთ წამს, მობრძანდით, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, თქვენო ბრწყინვალებავ! მძიმე თავის დაკვრით ეუბნებოდა სასტუმროს პატრონი.

— თქვენ გაგვაბედნიერეთ, თქვენო ბრწყინვალებავ, რომ იკადრეთ და მობრძანდით ჩვენ სასტუმროში დაუმატა მისმა ცოლმა.

სასტუმროს მზარეულები და მსახურები პირღია შესცქეროდენ ამისთანა გამოჩენილ და იშვიათ სტუმარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონ ჰერცოგი-კი ამაყათ აეიდა კიბეზე და თითქოს ვერც კი ამჩნევდა, რომ მისმა მოსვლამ ყველა ფეხზე დააყენა.

მზე ჩადიოდა, დაჰბერა გრილმა ნიავმა, შუადღის სიცხე გადავიდა, სუნელოვანი ყვავილებით დატკბა ჰაერი, ამისთანა სასიამოვნო საღამოს ოთახში ძნელი გასაძლისი იყო.

— ვახშამდის მე ამ აივანზე დაერჩები, თქვა ჰერცოგმა. და იქვე, ქვის სვეტებ ქვეშ, ყვავილებთან ახლოს ჩამოჯდა.

მაყურებლები ყველა წაიდ-წამოვიდა. სრული დუმილი სუფევდა. ჰერცოგი მიეცა ოცნებებს.

ერთბაშათ რაღაც უცნაურმა ტკბილმა ჰანგებმა ჰერცოგი გამოარკვიეს ოცნებობიდან. გაოცებულმა დაიწყო აქეთ იქით ყურება. მალე მან დაინახა ვიღაც ყმაწვილი, რომელიც შემოსავალ კარებთან კიბის ქვემო საფეხურზე იჯდა და სკრიპკაზე ისე მშვენიერათ უკრავდა, რომ გამოჩენილ დამკვრელსაც-კი გააოცებდა.

ყმაწვილმა შეამჩნია რომ უცხო სტუმარი ყურს უგდებდა და უფრო ხალისით დაიწყო დაკვრა.

— მაგას რას უკრავ? ჰკითხა ჰერცოგმა.

— ისე, რაც მომხვდება.

— ვინ გასწავლის მუსიკას?

— მამა-ჩემი მასწავლიდა, სანამ ცოცხალი იყო.

— მერე?

— არავინ.

— დიდი ხანია რაც მოკვდა?

— სამი წელიწადი იქნება.

— რითი ცხოვრობს დედაშენი?

— ისიც მამა-ჩემის შემდეგ მალე მოკვდა.

— მაშ ვისთან ცხოვრობ ახლა?

— არავისთან, მარტო.

— რითი ინახავ თავს?

— ქუჩაში ვუკრავ ხოლმე. დიდკაცობის მოსამსახურენი მაჭმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენ, ლუკმას გადმომიგდებენ და მუცელს ხომ სხვა არა უნდა-რა, თუ არა გაძღომა. დღეს აქ პირველათ ეუკრავ, ჯერ დაბლა ეუკრავ-დი და მერე თქვენ რომ შემომხედეთ გაემხნევდი ხმა მაღლა დავიწ-ყე დაკვრა.

— შენ კარგათ უკრავ. რამდენი წლისა ხარ?

— არ ვიცი.

— როგორ, მაშ არ იცი, როდის დაიბადე?

— კი, ვიცი როდესაც დავიბადე, დედა-ჩემი ხშირათ იტყოდა, რომ მე 1633 წელს დავიბადე.

— მაშ ცამეტი წლისა ყოფილხარ.

— იქნება აგრეც იყოს. მე მარტო ხუთამდის ვიცი თვლა.

— აფსუს, ეს ყმაწვილი რომ პარიზში იყოს გზას ადვილათ გა-იგნებდა, თქვა თავისთვის ჰერცოგმა.

ქანმა ყური მოჰკრა ამ სიტყვებს, მაგრამ ვერა გაიგო-რა.

ჰერცოგი მიიწვიეს ვახშამზე, წასვლის წინეთ იმან ამოიღო ერ-თი ოქრო და გადუგდო ყმაწვილს.

ქანი დასწვდა ოქროს და ერთ წამს დაფიქრდა.

— უსათუოთ ჰერცოგმა ეს ოქრო შეცდომით მომცა! იფიქრა ყმაწვილმა—წავალ, უკანვე მივცემ და ყმაწვილი სასტუმროში შე-ვარდა.

II

ოქრო.

ყმაწვილმა არ იცოდა, თუ ამისთანა გამოჩენილ კაცს რო-გორ მიუახლოვდებოდა და ან რას ეტყოდა, მაგრამ მაინც გარბოდა, უნდა მისწვდოდა. უცებ მას შეეფეთა მსახური, რომელსაც საინით საჭმელი მიჰქონდა. ამას ეგონა რომ ეს ბიჭიც მსახურიაო და იმას მიაწოდა თავისი საინი, ხელზე გადუგდო სალფეტკი და სწრა-ფათ გაიქცა ისევ სამზარეულოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყმაწვილი მარდი ბიჭი იყო, არ შეკრთა, როგორც ნაჩვევი მსახური ისე შევიდა ოთახში და გადასცა საინი უფროსს მსახურს და თითონ დაიწყო ჰერცოგის თვალიერება.

მაგრამ ჰერცოგი აქ სულ სხვა იყო: აღარც ალერსიანი ლაპარაკი, აღარც თავაზიანობა; ის ამპარტავნათ და მიუდგომელათ გამოიყურებოდა.

— იქნება შემამჩნიოს და დამელაპარაკოს, ფიქრობდა ყმაწვილი, მაშინ-კი უსათუოთ დავუბრუნებ ამ ოქროს.

ქანი ჰერცოგის საკარძელთან დადგა და მოწიწებით ემსახურებოდა, იქნება ყურადღება მომაქციოსო. ვახშამი გათავდა, აირია ხალხი, დაემზადენ წასასვლელათ. ყმაწვილმა-კი დრო ვერ ჩაიგდო, რომ ოქრო ჰერცოგისთვის დაებრუნებინა.

შეწუხებული ქანი მ-უბრუნდა ჰერცოგის მსახურს და მოწიწებით უთხრა:

— ერთი მალაპარაკე ჰერცოგთან, სანამ არ წასულა.

— რა ფიქრათ მოგვიდა ეგ სულელობა, შე რეტიანო! ზიზღით უპასუხა მსახურმა და მუშტი მოუღერა.

— ოღონდ მალაპარაკე ჰერცოგთან და თუ გინდ დამარტყი, თუ აგრე გინდა, რაღას ელი, დამარტყი, მე ხელს არ გახლებ.

— ოღონდაც, რომ არ მახლებ ხელს.

— ნუ-კი გგონია, რომ თუ მოვინდომო, ვერ გადაგიხადო სამაგიერო. ერთი ფეხი რომ მოგდო, სწორეთ საქებურათ გაიშხლართები...

მსახურმა ველარ შეიკავა სიცილი და ჰკითხა: მითხარ, ბავშო, რათ გინდა ჰერცოგის ნახვა?

— კარგი, გეტყვი, მე სკრიპკაზე ვუკრავდი და ჰერცოგი მისმენდა. ჩემი დაკვრა მოიწონა და წასვლის წინეთ ფული გადმომიგდო, რო დავწედი ასალებათ, ვნახე, რომ ოქრო იყო.

— მერე?

— მერე და მინდა დავუბრუნო ჰერცოგს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ თუ დაუბრუნო.

— ისე, მინდა დაეუბრუნო, რადგან ჰერცოგი უსათუოთ შეცდომით მომცემდა ამოდენა ფულს.

— რა სულელი ყოფილა ეს იტალიელი! თქვა მსახურმა და გაშორდა.

— რა მითხრა, სულელი ხარო, სულელი, რათა ვარ სულელი? ჰერცოგს რომ ეთქვა: დაიჭი, ჟან, ეს ოქრო, მაშინ სხვა იქნებოდა. თორემ არც-კი დახედა ისე გადმომიგდო ფული, უსათუოთ შეცდომით, პარიზში რომ დაბრუნდება, მაშინ ნახავს, რომ აკლია ოქრო და რათ მინდა რომ მე იმას ვეგონო უსვინდისო. არა, უნდა დაეუბრუნო თავისი ოქრო.

დაღამდა. ღამე უმთვარო, ბნელი იყო, მა'მხალებით გაანათეს სასტუმროს გამოსავალი, ემზადებოდენ წასასვლელათ. მსახურნი და მხლებელნი ცხენებზე შესხდენ კიდეც. ჰერცოგი შეეიდა ეტლში, მეეტლემ ცხენებს მათრახი გადაჰკრა, ეტლი დაიძრა, ჯერ ნელა-ნელა.

შეწუხებულმა ყმაწვილმა არ იცოდა რა ექნა. მერე სწრაფათ შეხტა ეტლის საფეხურზე და ყველასაგან შეუმჩნეველათ ისიც გაემგზავრა.

III

მიტოვებული საკრავი.

ყმაწვილს ერთ წამს შეეშინდა თავისი დაუხედავი საქციელისა. მას ესიამოვნებოდა, რომ ეტლი მიაქანებდა თუმცა მის საფეხურზე ძლივ-ძლიობით იმაგრებდა თავს.

ყმაწვილმა კარგა მანძილი რომ გაიარა გონზე მოეიდა, მოაგონდა რომ ფლორენციაში მან დატოვა ერთათ ერთი განძი, რომელიც გაეჩნდა. ჟანი იყო დედითა და მამით ობოლი, არც ნათესავები, არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრები ჰყავდა, მაგრამ მაინც ისეთი სევდა აუტყდა, რომ ტირილი დაიწყო.

— რა ექენი! რა ექენი! კენესოდა ის,—უბედურ ჩემ საკრავს რა დაემართება ახლა უჩემოთ. სასტუმროს შესავალ კიბეზე მივატოვე, ვინ იცის ფეხი დაადგეს, გამიტეხეს!.. რა სულელი ვარ! როგორ მივატოვე? ახლა რომ მქონდეს ის აქ, რა კარგი იქნებოდა. მართალია ამ ოქროთი შემიძლიან ახალი ვიყიდო, მაგრამ ეს ხომ ჩემი არ არის და ახალი მაინც ჩემთვის ძვირფასი არ იქნება.

ერთბაშათ ეტლი შეინძრა და ყნაწვილი გადმოვარდა.

— რა მოხდა, იკითხა ნამძინარევმა ჰერცოგმა.

— ეტლს გოგორა გაუტყდა, მოახსენა ერთმა მსახურმა,— მაგრამ არა უშავს-რა, სოფელთან ახლოს ვართ, ახლავე კაცს გავგზავნით ცხენით და მოვაყვაინებთ გამკეთებელს.

— მაშ დაიჩქარეთ! თქვა გაჯავრებით ჰერცოგმა.

ცხენოსანმა ჭენებით გასწია. ქანი წამოდგა ფეხზე, მიიხედ-მოიხედა და თუმცა საშინლათ ბნელოდა შეამჩნია, რომ ადგილი უცნობი იყო.

— მგონი, დიდი მანძილი არ გაგვიელია და კიდევ გავიგნებ ფლორენციაში გზას, ნუგეშობდა ყმაწვილი და ის-კი ვერ წარმოედგინა, თუ ცხენები ექვსი საათის განმავლობაში რამდენ გზას გაიელიდენ.

— ახლა სწორეთ კაი დროა, რომ ჰერცოგს მოველაპარაკო და თავისი ოქრო დავუბრუნო. მერე გავწევ შინისკენ და იქნება ჩემი სკრიპკა კიბეზე ისევ ისე მთელი დამიხვდეს, და ქან ლიული მხიარულათ მიუახლოვდა ეტლს, მაგრამ იქ ისეთი ხმა-მაღლივი ლაპარაკი და აურზაური იდგა, რომ მაშინვე ეტლს მოსცილდა. ჰერცოგი უჯავრდებოდა მსახურებს და ისინი ერთმანერთს სდებდენ ბრალს!

მალე მაშხალებიც გამოჩნდა, ცხენოსნები მოვიდენ. დამშვიდენ ყველანი, რადგან ჩქარა გაუდგებოდენ გზას. ახლა კი სწორეთ კაი დრო იქნებოდა ქანისთვის, ის ადვილათ მიუახლოვდებოდა ჰერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოგს, რომელიც ფანჯარიდან გამოიყურებოდა. ძლიეს არ მოიშორებდა ყმაწვილი ოქროს, რომელიც ისე აწუხებდა მას.

როგორც-კი ჟან-ლიული მოწიწებით მიუახლოვდა ფანჯარას და მოკრძალებით დაიწყო ლაპარაკი, ჰერცოგმა გადუგდო მოწყალება და დაუყვირა მსახურებს, რომ გაეგდოთ ეს მათხოვარა.

— მათხოვარა! გაიმეორა ლიულიმ.—მე მათხოვარა არა ვარ, მე მაგას დავუმტკიცებ რომ მათხოვარა არა ვარ.

და უკან გაჰყვა ეტლს, რომელიც ნელა-ნელა დაიძრა.

IV

ᲒᲝᲓᲝᲠᲘ.

Თენდებოდა. ლიული ეტლს მისდევდა, ბოლოს დაინახა, რომ ეტლს უკან მიკრული აქვს გოდორი. ეტლი შეჩერდა. ლიულიმ ჩაიხედა გოდორში და დაინახა შიგ მძინარე ძაღლი. ყმაწვილმა მაშინვე გაიფიქრა: მოდი ძაღლს გადავაგდებ და მის მაგიერ მე ჩავწვები გოდორშიო, მერე შეეცოდა ძაღლი.

— იქნება ორიევნი როგორმე მოვთავსდეთო, გაიფიქრა ყმაწვილმა და ჩაძერა დიდი ვაი-ვაგლახით გოდორში. ძაღლი თითქოს მიუხვდა, გაულოკა ხელები ახალ თანამოგზაურს, დაუთმო თავისი ადგილი და თვითონ ერთი მუჭისტოლათ გოდრის კუთხეში მიიკუნტა.

ეტლი ისევ ისე გაუდგა გზას.

— რა უცნაური საქმე დამემართა, ფიქრობდა ლიული, მე მინდოდა ჰერცოგისთვის დამებრუნებინა მისი მოცემული ოქრო და იმან მათხოვრათ ჩამთვალა და პირ-იქით გადმომიგდო მოწყალება! ასე არ შეიძლება, უნდა ჰერცოგს ავუხსნა ყველაფერი. არ მინდა რომ იმან პარიზში ჩემზე ცუდათ ილაპარაკოს! ვინ იცის რა იფიქრონ ჩემზე, როდესაც ჰერცოგი იტყვის: „მე პატარა ლიულს, აი, ფლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რენციაში სკრიპკაზე რომ უკრავს, შეცდომით გადეუგდე ოქრო და იმ არამზადამ არა თუ დამიბრუნა, გზაზე მომეწია და კიდევ მოწყალება მთხოვაო". არა, მე ამას არავის ეათქმევინებ. რას იტყოდა მამა ჩემი შვილის ამნაირი საქციელი რომ გაეგო!

ამ ფიქრში ლიულის ჩაეძინა და შუადღე იქნებოდა, როდესაც გაელვიძა.

ცხენები არსად იყო. ეტლი ცარიელი იდგა საჯინიბოში.—ახლა აღარა დამიშლის-რა, მოეძებნი ჰერცოგს და ყველაფერს აეუხსნი გაიფიქრა ლიულიმ და ამოძვრა გოდრიდან.

ლიული ფეხ-აკრეფით შეეიდა სახლში, იქ დიდი ხმაურობა და არეულობა იყო. ყმაწვილმა მაშინვე თვალი მოჰკრა სწორეთ იმ მსახურს, რომელმაც ფლორენციაში ის არ მიუშვა ჰერცოგთან.

V

მიზანს მიალწია.

ვენ საიდან გაჩნდი? შეკვეცირა გაკვირვებულმა მსახურმა.

— რა თქვენი საქმეა! სად არი თვითონ ბატონი? მისი ნახვა მინდა.

— დაგწყეველოს ღმერთმა! როგორ გაჩნდი აქ? როგორ გამოგვყევი ტურინამდის?

— მეც ისე მოვედი, როგორც თქვენ. განსხვავება მხოლოთ იმაშია, რომ შენ როგორც მსახური—ცხენით მოდიოდი და მე-კი ეტლით.

მსახური შეკრთა და ყმაწვილს უფრო თავაზიანათ უთხრა:

— ჰერცოგი სასტუმრო ოთახშია, მარჯვენივ, მეორე სართულში. თუ საუზმისა იკითხოს, უთხარით რომ მალე იქნება-თქო.

ლიული სწრაფათ ავარდა კიბეზე, ღია კარებიდან დაინახა ჰერცოგი, რომელიც უჯდა მაგიდას კარებზე ზურგ-შექცეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყმაწვილი ფეხ-აკრეფით მიუახლოვდა, მას ხელში ეჭირა ჰერცოგისგან მიღებული ფულები.

ჰერცოგი ფეხის ხმაზე მობრუნდა და იკითხა:

— ვინ არის აქა?

— მე ვარ, ჟან ლიული, გუშინ საღამოს შეცდომით მომეცით ოქრო, ღამე-კი მათხოვარა გეგონეთ და ვერცხლის ფული გადმომიგდეთ. აი, ეს ფულები, უკანვე მოგიტანეთ. ამ სიტყვებით ლიულიმ მაგიდაზე დაუდო ფული.

— შენ ამბობ გუშინ საღამოს? გაკვირვებით თქვა ჰერცოგმა, —გუშინ საღამოს მე ხომ ფლორენციაში ვიყავი! არაფერი მახსოვს... — თქვენისთანა დიდ ბატონებს სად ეხსომებათ ყველაფერი, მე-კი კარგათ მახსოვს და ამიტომ გიბრუნებთ თქვენ ფულებს. მე მხოლოთ ის მომეცით, რასაც გამოიმეტებთ.

— შენი არაფერი არა მესმის-რა! უთხრა ჰერცოგმა და ჩააცქერდა ყმაწვილს სახეში,—მე შენ პირველათ გხედავ.

— როგორ! განა არ გახსოვთ მე რომ წუხელის სასტუმროს წინ ეუკრავდი სკრიპკაზე.

— ახლა-კი მაგონდები! მაგრამ რა გინდა? როგორ გაჩნდი აქა?

— რომელ კითხვაზე გიპასუხოთ? დაეკითხა ყმაწვილი.

ჰერცოგმა გაიცინა.

— მაშ ჯერ პირველ კითხვაზე გიპასუხებთ: რა მინდა მე? არაფერი, მე მინდა მხოლოთ დაგიბრუნოთ ის ფული, რომელიც ფლორენციაში მომეცით, უსათუოთ შეცდომით, რადგან დაკვრისთვის მაგდენს არ მომცემდით! მერე მეორეთ მათხოვარა გეგონეთ და ფული გადმომიგდეთ! ან ეს ფული როგორ მოვიღო, როდესაც სულაც მათხოვარა არა ვარ. მე ეუკრავ სკრიპკაზე და პატიოსანი შრომით ვირჩენ თავს.

— რა კარგი ბიჭი ყოფილხარ! თქვა ჰერცოგმა და ყმაწვილს ხელი ჩამოართვა.—ახლა მითხარი, როგორ გაჩნდი აქა?

— დიდი გაჭირვებით, უპასუხა ყმაწვილმა. ჯერ იქ, სასტუმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაში, მინდოდა თქვენი ნახვა, მაგრამ ვერასგზით ვერ მოგიდექით, ვერ ვბედავდი ახლოს მოსვლას. ამ დროს ეტლიც მოგართვეს. რა მექნა არ ვიცოდი. როდესაც ყველანი ჩასხედით ეტლში, მეც ეტლის საფეხურზე ჩამოვეკიდე და სანამ არ გაგიტყდათ ეტლი მეც თქვენთან ვმოგზაურობდი. რაკი შეაჩერეს ეტლი მე კიდევ მოვინდომე მომელაპარაკა თქვენთან და საჩქაროთ დავბრუნებულიყავი ისევ ფლორენციაში, სადაც მივატოვე ჩემი განძი, მაგრამ თქვენ არ მალაპარაკეთ, მოწყალება გადმომიგდეთ და მათხოვარა დამიძახეთ. ეს ისე მეწყინა რომ ქვესკნელშიაც გამოგყვებოდით, ოღონდ დამერწმუნებინეთ რომ მათხოვარა არა ვარ. საფეხურზე დგომა ძალიან მეძნელებოდა და ჩავძვერი თქვენი ძაღლის გოდორში და ისე მოვახწიე აქამდის. მე ყველაფერი გითხარით. ახლა თუ ინებებთ და მომცემთ დაკვრისთვის რასმეს, მიბოძეთ, რომ საჩქაროთ დავბრუნდე ფლორენციაში.

— რა დაგრჩენია იქ, რისთვის მიეჩქარები?

— ჩემი საკრავი, სკრიპკა. ნუ დამცინებთ. ეს არის ჩემი ალადიდება, ჩემი განძი, სხვა არაფერი არა გამაჩნია-რა. ვშიშობ, ვაი თუ უჩემოთ გატეხეს კიდეც!

— აი, დაიჭი ფული, უთხრა ჰერცოგმა და ჯიბიდან ამოიღო რამდენიმე ოქრო. თუ ის გაგიტყდა, იყიდე ახალი.

— ახალი სულ სხვა იქნება!

— როგორ?

— დიდი განსხვავებაა!

— რა ბავში ხარ!

— აგრე გგონიათ, თქვენ იმდენი ნივთები გაქვთ, რომ ერთ-ერთი დაიკარგოს ვერც-კი შეამჩნევთ. მე-კი მაგ საკრავის მეტი არა მაბადია-რა! ეგ ჩემი მეგობარია, აქამდის გაუყრელათ ერთათ ვიყავით, ახალი ნაყიდი მაგის მაგიერობას ვერ გამიწევს.

— მაშ აიღე ეს ფულები და გაიქეცი საჩქაროთ, იქნებ იპოვო კიდევ შენი სკრიპკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს ფულები სულ აიღო?

— სულ აიღე, რასაკვირველია.

გაკვირვებულმა ლიულიმ არ იცოდა რა ეპასუხნა.

— საუზმე მზათ გახლავთ! მოახსენა შემოსულმა მსახურმა.

ჰერცოგი წამოდგა. ოთახიდან გასვლის დროს მოიხედა უკან და დაინახა, რომ ყმაწვილი ჩაფიქრებული დასცქერის ფულებს და უთხრა:

— რას ელი? ხომ არა გინდა-რა მკითხო?

— არ მინდა, რომ მოგშორდეთ, უთხრა ყმაწვილმა.

— მერე შენი სკრიპკა?

— რა ვქნა! მენანება, მაგრამ ვეცდები დავიგიწყო.

— მაშ კარგი, დარჩი ჩემთან, პარიზში გამომყევი.

— რა მადლობელი ვარ! შეჰყვირა აღტაცებით ყმაწვილმა და დაუწყო ჰერცოგს ხელებზე კოცნა.

ჟან ლიული წაიყვანეს პარიზში.

VI

ქვაბები.

ერთ ღვინობისთვის ღამეს, 1647 წელს, პარიზში, პალე-როიალის მაიდანზე მოდიოდა სასახლის ეტლი გარშემოხვეული მსახურებით. ეს ეტლი ის იყო უნდა მიახლოვებოდა თვით სასახლეს, რომ უცბათ ეტლის ფანჯრიდან გამოჰყო თავი ახალგაზდა ლამაზმა ქალმა და თქვა:

— ნელა, ნელა, არ გაჭყლიტოთ, უყურეთ აქ ვიღაცა წევს!

მეეტლემ შეაჩერა ცხენები, მსახურმა მიანათა მაშხალა და რომ დაინახა მძინარე ყმაწვილი ფეხი ჰკრა.

— ადექი! ჩამოგვეცალე გზიდან!

ყმაწვილს გაეღვიძა, წამოვარდა, სიცივით კანკალებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეტლში მჯდომი ქალი იყო მარი-ლუიზა ჰერცოგინია ორლეანისა. ამას შეებრალა საცოდავი ყმაწვილი და ჰკითხა:

— ვინა ხარ? აქ რას აკეთებ?

— მე მეძინა. უპასუხა ყმაწვილმა.

— განა სახლი არა გაქვს, რომ ქუჩაში გძინავს?

— ჩემდა საუბედუროთ არა მაქვს.

— სად არიან, ან ვინ არიან შენი დედ-მამა?

— დედაც და მამაც დამეხოცენ; მე იტალიელი ვარ და ფლორენციიდან ჰერცოგ გიზამ წამომიყვანა.

— მერე რათ მიგატოვა ქუჩაში?

— იმას არც მივუტოვებივარ, არც არა ეცოდინება-რა. მე გამომაგდო მისმა უფროსმა მზარეულმა, იმიტომ რომ ქვაბებზე ვუკრავდი.

— როგორ თუ ქვაბებზე უკრავდი?

— დიახ, ვუკრავდი და მერე რა კარგათაც გამოდიოდა ხმები! მაშ რა მექნა, თუ სხვა საკრავი არა მქონდა? ქვაბებს ჩავამწკრივებდი ხოლმე რიგზე და მოვყვებოდი ჯოხით დაკვრას.

— ამიხსენი ერთი ჰერცოგ გიზამ რათ წამოგიყვანა ფლორენციიდან?

— საქმე გაგრძელდება ყველა რომ გითხრათ. მე-კი ისე შემციედა, რომ ლაპარაკიც მეძნელება.

— იქნება გშიან კიდეც?

— ძალიან; მთელი დღე პირში ნაწილი არ ჩამსვლია.

— შეიყვანეთ ეს ბავში სასახლეში, უბრძანა ჰერცოგინიამ,— აჭამეთ, ასვეთ, დააძინეთ და ხვალ მომგვარეთ სუფთათ ჩაცმულ-დახურული.

მეორე დღეს ჰერცოგინიას ისეთი საქმეები გამოუჩნდა, რომ სულ მიავიწყდა ყმაწვილი.

რაკი ლიუსი შეიყვანეს სასახლეში საქმეც გაუჩინეს—გახადეს პატარა მზარეულათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII

მ ი შ ე ლ ი.

ღ ღეს საღამოს მოვა ჩვენთან, მიშელი? ჰკითხა ჰერცოგინიამ ერთ კარის-კაცს, რომელიც ის იყო შემოეიდა მძიმე თავის დაკერით.

— მე ის დღეს ვნახე და დამპირდა ექვს საათზე მოვალო.

— ახლა ხომ შვიდი საათია, სწრაფათ მიუგო ჰერცოგინიამ.

— ვინ არის ეგ მიშელი? იკითხა ჰერცოგ გიზამ, რომელიც აქვე იმყოფებოდა,—რაც იტალიიდან დაებრუნდი სულ იმაზე მესმის რომ ლაპარაკობენ.

— მაშ მისი სიმღერა არ გაგიგონიათ, იკითხა ერთმა კარის-კაცთაგანმა.

— არა, უპასუხა ჰერცოგმა. მაგრამ ადვილი წარმოსადგენი-კი არის...

— სულაც ვერაფერს ვერ წარმოიდგენთ, მოუგო სიტყვა ჰერცოგინიამ,—ვისაც არ გაუგონია მიშელის სიმღერა ის ვერც-კი წარმოიდგენს მის შვენიერობას. მე ძალიან შემაწუხებს თუ ის ამ საღამოს აქ არ მოვა.

— ვერ გაბედავს, რომ თქვენი თხოვნა არ აასრულოს...

— მაშ თქვენ იმას არ იცნობთ,—ხელ-მეორეთ გააწყვეტინა სიტყვა ჰერცოგინიამ;—ის დიდკაცებს აგრე რიგათ ყურადღებას არ აქცევს. ის უფრო სხვის დაპატიჟებას მიიღებს ხოლმე და რომელ დუქანშიაც-კი გინდათ წაჰყვება ყველას და არა თუ ჩემ დაპატიჟებას, თვით მეფის დაპატიჟებასაც-კი არ მიაქცევს ყურადღებას.

— მოდის, მოდის! დაიყვირა ერთმა ყმაწვილკაცმა, რომელიც ფანჯარაში იცქირებოდა.

— მაშ ჩქარა, სანამ არ შემოსულა მითხარით ვინ არი და ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ღირსების კაცია, მარტო შვენიერათ სიმღერა არა კმარა, რომ ჩვენ სასახლეში მიეიღოთ, თქვა ჰერცოგმა გიზამ.

— მიშელ ლამპერტი დაიბადა პუატში 1611 წელს, თქვა ერთ-ერთმა კარისკაცმა, – მისი დედა ღარიბი დედაკაცი იყო, უყვარდა სა შინლათ მუსიკა და მონასტრებში დადიოდა. შვილს გამოჰყვა მისი მუსიკალური ნიჭი, ჯერ ეკლესიაში მღეროდა, მერე გაითქვა სახელი, როგორც შვენიერმა მომღერალმა. შორიდან მოდიოდენ მიშელ ლამბერტის სიმღერის სასმენელათ. ბოლოს ჩვენ სასახლეშიაც მოიწვიეს.

— რა დაემართა, რატომ არ მოდის? შეცდებოდით, ის არ იქნებოდა, თქვა ჰერცოგინიამ.

— უსათუოთ ძირს თუ მღერის, ალბათ მოსამსახურები თუ უსმენენ. ის ამბობს, რომ უბრალო ხალხს უფრო ესმის მუსიკა, ვიდრე განათლებულებსო.

— დახეთ, რაღაც ხმაურობაა? თქვა ჰერცოგინიამ და სმენათ გადაიქცა.

— თითქოს რაღასაც აბრახუნებენო! თქვა ერთმა კარისკაცმა.

— ვერაფერს გაარჩევს ადამიანი! თქვა მეორემ.

— რაზე უკრავენ? რაღაც უცნაური ხმაა? თქვა ისევ პირველმა.

— გესმით? გესმით? ხელ-მეორეთ თქვა ჰერცოგინიამ.

ამ დროს მოისმა ვიღასაც ხრინწიანი ხმა:

— ქვაბები! ჩემი ქვაბები! იმ დაწყეველილმა ბიჭმა გამოფუჭა ჩემი ქვაბები.

VIII

პატარა მზარეული.

ახირებული ამბავი მოხდა! თქვა ჰერცოგმა,—მე ფლორენციიდან წამოვიყვანე ერთი ყმაწვილი და ჩემმა მზარეულმა ვერ შეიფერა, გააგდო, რადგან ქვაბებს სტაცებდა და იმაზე უკრავდა თურმე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე ვიპოვნე ეგ გაგდებული ყმაწვილი ქუჩაში და მოვაყვანე ჩემთან, მოუჭრა სიტყვა უცბათ ჰერცოგინიამ და მაშინვე წამოდგა და გაეშურა ჩასაფალ დიდ კიბისკენ.

ყველა გაჰყვა ძირს ჰერცოგინიას და ერთ წამს ყველა გაკვირვებით შეჩერდენ.

კიბის ძირას გაფენილი იყო სხვა-და-სხვა დიდი და პატარა ქვაბები, პატარა მზარეული თეთრი ქუდით იდგა პაწაწა ჯოხით ხელში და ხან ერთ ქვაბს ურტყამდა და ხან მეორეს და თან დამღეროდა. ერთობ სასიამოვნო მუსიკა გამოდიოდა და მთელი სასახლის მსახურნი გარს შემოერტყომოდენ და ისმენდენ ამ უცნაურ მუსიკას.

მოშორებით იდგა გაცოფებული მზარეული და ყმაწვილს ცემას უქადდა, უყვიროდა და ითხოვდა ქვაბებს, იმას იკავებდა ერთი გამხდარი კაცი.

— არ დაჩუმდები! კიდევ მოესწრები შენი ქვაბების ცქერას, ეუბნებოდა ეს კაცი,—დაუგდე ყური, რა შვენიერი მუსიკაა!

— რას ჩამციებიხართ, არ მინდა თქვენი მუსიკა, უნდა ჩქარა ვახშამი მოვამზადო, ჩემი ქვაბები ნაღარა და დოლი არ გახლავთ!

— მე რომ სკრიპკა მქონდეს, არც ვახლებდი შენ ქვაბებს ხელს. შეჰყვირა ლიულიმ.

— შენ განა იცი სკრიპკაზე დაკვრა? ჰკითხა მიშელ ლამბერტმა, ეს ის კაცი იყო, რომელიც მზარეულს იმაგრებდა და რომელსაც მთელი საზოგადოება ზემოთ მოუთმენლათ ელოდა.

— ისე კარგათ-კი არ ვიცი, მაგრამ ეუკრავ-კი. მე რომ მიშელ ლამბერტი ენახოს ვთხოვდი...

— რასა თხოვდი, თქვი, მე ვარ თვითონ მიშელ ლამბერტი.

ლიულიმ განცვიფრებით შეხედა მას.

— თქვენა? თქვენა ხართ მიშელ ლამბერტი? აი, რას გეტყვით: მე ღარიბი ვარ და ვერა გთხოვთ რომ გაკვეთილი მომცეთ, მაგრამ ნება რომ დამრთოთ ხანდახან მოვიდე ხოლმე თქვენთან, მოვისმინო თქვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკერა და ენახო, როგორ აძლევთ გაკვეთილებს. გაძლევთ პატიოსან სიტყვას რომ მორჩილი ვიქნები.

— ენახოთ, თქვა ლამბერტმა, აიღე ჩემი სკრიპკა და მაჩვენე როგორ უკრავ.

ლიულიმ სიხარულით მოიტაცა სკრიპკა და დაიწყო დაკვრა.

ლამბერტი გაოცებული შესცქეროდა. რაც მეტს უკრავდა ყმაწვილი ლამბერტიც უფრო და უფრო აღტაცებაში მოდიოდა. ლიულისაც უხაროდა და როცა ყმაწვილმა გაათავა დაკვრა ჰკითხა:—რას იტყვით, მასწავლებელო.

ლამბერტი მავარდა, ლიულის დაუწყო ხვევნა-კოცნა და უთხრა:

— აღტაცებაში ვარ! შვენიერობაა! შენ მუსიკისთვისა ხარ გაჩენილი! თავი დაანებე შენ ქვაბებს და ტაფებს და წამოდი ჩემთან. მე ვიზრუნებ შენზე, გასწავლი და გზაზე დაგაყენებ. შენ აღარა გაგიჭირდება-რა ამას იქით. მაშელმა მოჰკიდა ხელი ყმაწვილს და უნდოდა წაეყვანა ჰერცოგინიასთან, მაგრამ რომ მობრუნდა, ნახა რომ თვითონ ჰერცოგინია თავისი ამალით იდგა კიბეზე.

—ამ ყმაწვილის ადგილი სამზარეულოში არ არის, თქვენო ბრწყინვალებავ, ნება მიბოძეთ წავიყვანო და იმედი მაქვს რომ ეს გახდეს გამოჩენილი მემუსიკე.

— თქვენ გახადეთ ეს მემუსიკეთ, უთხრა ჰერცოგინიამ თავაზიანათ,—მაგრამ მე არ მინდა ყმაწვილის მოშორება, მიეცით გაკვეთილები, რომლის საფასურს მე გადავიხდი და ბინა-კი ჩემთან უნდა ჰქონდეს. წადი, ლიული, გაიხადე ეგ მზარეულის ტანისამოსი და ჩაიცვი რიგიანათ.

მას შემდეგ სულ ნახევარ წელიწადს არ გაუელია, რომ ლიული გახდა იმ თორმეტ მემუსიკეთა ლოტბარი, რომელნიც უკრადეენ მის თხზულებას სასახლეში. მეფე ლიუდოვიკ XIV ისე მოეწონა ეს პატარა მემუსიკე, რომ თხოვა ჰერცოგინიას ყმაწვილი მე დამითმეო.

მემუსიკე ლიული უკრავდა მეფის კარზე ყოველ დღესასწაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებზე, თითონვე თხზამდა მუსიკას და შეენიერი ლოტბარი იყო.

ბოლოს მეფემ გახადა მუსიკის აკადემიკოსათ.

ერთხელ ლიულის ლოტბარობის დროს უცაბედათ ხელში საჭერი ჯოხი ჩაერჭო გვერდში და 1687 წ. მოკვდა. მისმა ქვრივმა დაუდგა ძეგლი შემდეგი წარწერით: „სიკვდილო, შენ ყველას ბრმათ მიაჩნიხარ და ლიულის სიკვდილის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ყრუც ყოფილხარო“.

ან. წერეთლისა.

(თარგმანი)



ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(წარმოდგენილი კ. სესნიაშვილისაგან).

უპატრონო ცხვარი ზამთარშიაც იკრიჭებაო.

—

პურადი კაცის სასწორი მუდამ წონაში მეტიაო.

—

ყველაზე მეტათ თვალთ ვის აკლიაო? ვინც თავის თავს აქებსო.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

(წარმოდგენილი თ. რაზიკაშვილისაგან).

ერთ მინდორზედა დახტოდა ერთი უკუდო კატაო,
რაც საკუდეზე დააკლდა ის ყურებს მიემატაო;
ცხვირსახოცს თავი მოეუსკვენ კედელზე გადიხატაო,
ვინც ამას არ გამოიცნობს სჩანს ჭკუამ ულალატაო.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლი მაქვს ასეთ—აგეთი
ხუროო—ხეჭუჭით ნაგები,
შიგა ეზიავარ და ეიძახი:
აბა გამიღეთ კარები.

—

(წარმოდგენილი კ. ფრონისპირელისაგან).

უსულოი სულიერსა გულს გადუყრის დარდებსაო,
მწყემსებისა მოკეთეა—მდიდარს არად არგებსაო.

—

ცხენი რკინისა, ძუა ბამბისა,

—

(წარმოდგენილი ქართველი ოსებში—საგან).

ვინც აკეთებს—თავისთვის არა, ვინც ყიდულობს—თავისთვის არა, ვისთვისაც ყიდულობენ იმას არ ესმის.

ზ ე ა.

(წარმოდგენილი კ. ფრონისპირელისაგან).

ჩაეარდი ჯოჯოხეთშია,
ჩამაგდეს კუპრის ნათელში,
რკინა დამკიდეს ენაზე
და ცეცხლი მომცეს მე ხელში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესანიშნავი რიცხვი.

სწორეთ შესანიშნავი და საყურადღებოა შემდეგი რიცხვი: 142857; ეს რომ გაამრავლოთ თუნდ 2, 3, 4, 5, 6. მაინც მიიღებთ ამ რიცხვს მხოლო ციფრები სხვა-და-სხვა ადგილას იქნება ჩასმული:

142,857×2=285,714
142,857×3=428,571
142,857×4=571,428
142,857×5=714,285
142,857×6=857,142

ამ რიცხვს თუ 7 გავამრავლებთ მიიღებთ 999,999 და თუ 8 გავამრავლებთ მიიღებთ 1,142,856. ამ რიცხვის პირველი ციფრი რომ მიეუმატოთ უკანასკნელ – ციფრს—ექვსს მიიღებთ ზემო მოყვანილ შესანიშნავ რიცხვს.

შ ა რ ა დ ე ბ ი.

(წარმოდგენილი ალ. შიუკაშვილისაგან).

ქვაა სიტყვის ნახევარი
სათამაშო ყმაწვილური,
ნახევარსაც ქვაბზე ეხედავთ
მოდებულსა ვით შავ—ბური;
მთელი-კი საკრავი არის
ხმა ტკბილი და საამური,

—

ვისაც თავის შეტყობა სურს
სანს ანი მიატოლოსა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორივე ხელის თითები
შეადგენს იმის ბოლოსა;
მთელსა-კი ხშირათა უყიდის
ყმაწვილ კაცი საცოლოსა.

რებუსი

, რ

ძნის შესა- კრავი

,

, ი

ს

,


,

,

კავშირი

გ

, ძუ

,

,

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ IX გამოცანებისა.

გამოცანა: მენახშირე.

არითმეტიკული გამოცანა: სულ იყო 27 კართოფილი.

შარადა: სიმინდი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი- წერეთლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეცამეტე

გამოვა 1902 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს **4** მან. თფილისს გარეშე გაგზავნით **5** მან. ცალკე ნომერი **50** კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოთ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **თფილისში** — „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

ეროვნული
ბიბლიოთეკა